# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 28 თებერვალი 2003 №34 (1805) ფასი 50 თეთრი

# ვისლა — ლაციო გაიყინა
# სელტიკი — ლივერპული დაცხება!



„ლაციომ" კრაკოვში მიწა ვერ შეიგრძნო



შტუტგარტი — სელტიკი. გერმანელებთან გამარჯვებულ პოლ ლამბერტს (მარცხნივ) „ლივერპულთან" მეტი ყოჩაღობა მართებს

REUTERS ფოტოქრონიკა

# კალაძე ჰოლივუდში



## SALUTE A KAKHA!
## გუშინ კახა მთელმა მილანმა ადღეგრძელა

*საქართველოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი, იტალიური „მილანის" მცველი კახა კალაძე გუშინ 25 წლის შესრულდა.*

*ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, ოჯახში სიმშვიდე, მოკლედ, კეთილი სურვილები არ დაჰკლებია კახას. მისი ვებ-გვერდი უამრავი მილოცვით აივსო, ქომაგს მისთვის ტკბილი სიტყვა არ დაუშურებია.*

*„სარბიელის" გამოკითხვის ორგზის ლაურეატს დაბადების დღე, ცხადია, ჩვენც მივულოცეთ.*

— დიდი მადლობა, მიხარია, რომ ყურადღებას ვგრძნობ. უკვე ბევრი დამიკავშირდა საქართველოდან, უკრაინიდა... ბევრი საჩუქარიც მივიღე, გმადლობთ.

**— „მილანმა" რა გაჩუქა?**

— ჯერ არაფერი, მაგრამ ვიცი, რომ სიურპრიზს მიმზადებენ. არავინ მეუბნება, რას აპირებენ.

**— თავად რას აპირებ, როგორ აღნიშნავ დაბადების დღეს?**

— მთელი გუნდი, მწვრთნელ ანჩელოტით დაწყებული და რიგითი მუშაკით დამთავრებული, ღამე შევიკრიბებით და ჩემს დაბადების დღეს ერთად აღვნიშნავთ.

**— „მილანი" ქართულად უნდა აქეიფო?**

— რა ვიცი, როგორც გამოვა. მაგიდები უკვე შეკვეთილი მაქვს.

**— რესტორანში აღნიშნავთ?**

— არა, გუნდი დისკოთეკა „ჰოლივუდში" დავპატიჟე. ახლა ვივარჯიშებთ, ცოტას დავისვენებთ და მერე ყველანი ჩემი სტუმრები იქნებიან.

**ქობა ინასარიძე**

„ვისლა" — „ლაციო" უამინდობის გამო გადაიდო. გუშინწინ, კრაკოვში ჩასულმა იტალიელებმა საღამოს ივარჯიშეს. ვარჯიშზევე შეამჩნიეს, რომ მოედანს ბალახის ნატამალი არ ემჩნეოდა და სულ მოყინული იყო. „ლაციოს" ბოსებმა მასპინძლებს გაზონი დაუწუნეს, მაგრამ პოლონელებმა გათბობის სისტემა ჩართეს და მოედანიც რაღაცას დაემსგავსა: მერე ეს სისტემაც მწყობრიდან გამოვიდა. გუშინ დილით კრაკოველებმა მოედანს მარილი და ქვიშაც მოაყარეს, რამაც მინდორს უცნაური შეფერილობა მისცა. რომაელებს მეტი არც უნდოდათ, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — არ ვითამაშებთო, თან უარის შესახებ უეფას დელეგატს ოფიციალურადაც ჩაწიკწიკებული ფურცლით აცნობეს. დელეგატი დაეთანხმა. მატჩი 5 მარტს გაიმართება.

ეჰ, ასეთ რომ ჩვენებურ „სინათლეზე" შეახედათ...





REUTERS

მაიკლ ოუენმა ის გოლი გაიტანა, იან რაშის საევროთასო ოცგოლიან რეკორდს რომ გაუტოლა



REUTERS

აეკ — მალაგა. დელი ვალდესმა და მისმა თანაგუნდელებმა ათენში გამარჯვებით მეოთხედფინალში გააღწიეს

# უეფას თასი 2002-2003

UEFA CUP **მერვედფინალი. საპასუხო მატჩები** UEFA CUP

**ბეშიქთაში** *(თურქეთი)* 4:2 სლავია (ჩეხეთი) (0:1)

1:0 პანჩუ (41), 2:0 რონალდუ (61), 3:0 აჰმეთ დურსუნი (66), 4:0 მანსიზი (70), 4:1 დოშტალეკი (77პ), 4:2 პრდლიჩკა (84)
ბეშიქთაში: კორდობა, ტაიფური, აჰმეთ ილდირიმი, რონალდუ, აჰმეთ დურსუნი, პანჩუ (ჟუნტი 76), სერგენი (იასინი 60), ტამერი, იბრაჰიმი, მანსიზი, ალი ერენი (თოლგა 79)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
სლავია: ჩერნი, ლ. დოშეკი, ტ. დოშეკი (ადაუტო 71), ვახოუშეკი (პრდლიჩკა 78), დოშტალეკი, სკაჩელი, გედეონი, პეტროუში, პიტაკი, ბეიბლი, მ. მიულერი
მწვრთნელი: მიროსლავ ბერანეკი
გაფრთხილება: აჰმეთ დურსუნი
მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)
23 000 მაყურებელი

აეკ (საბერძნეთი) 0:1 **მალაგა** *(ესპანეთი)* (0:0)

0:1 მანუ (27)
აეკ: ხოტისი, ბორბოკისი, კოსტენოღლუ (ს. კონსტანტინიდისი 79), ზაგორაკისი, მალადენისი, ცარტასი (პეტკოვი 69), ნიკოლაიდისი, კასაპისი, რაიტი, ლაკისი, გეორგატოსი (ივიჩი 46)
მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი
მალაგა: კონტრერასი, როტეტა (ლოპეს ბრავო 32), ვალკარსე, რომერო, ფ. სანსი, ხერარდო, ხოსემი, მანუ, სანდრო (მიგელ ანხელი 80), მუსამპა, დელი ვალდესი (კანაბალი 73)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: სანსი, ზაგორაკისი, მიგელ ანხელი
მსაჯი: პოლ სტაილზი (ინგლისი)
19 500 მაყურებელი

შტუტგარტი (გერმანია) 3:2 **სელტიკი** *(შოტლანდია)* (1:3)

0:1 ტომპსონი (13), 0:2 სატონი (15), 1:2 ტიფერტი (38), 2:2 გლები (75), 3:2 მუტცელი (87)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ვენცელი, დანგელმაიერი (განია 46), ჰინკელი, გერბერი (ზაიცი 80), ტიფერტი (მუტცელი 65), სოლდო, გლები, ბალაკოვი, ამანატიდისი, კურანი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
სელტიკი: დუგლასი, ვალგაერენი, უ. ლაურსენი, ბალდე, ტომპსონი, ლამბერტი (მელოუნი 82), ლენონი, პეტროვი, აგატი, სატონი (მაკნამარა 87), ჰარტსონი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: ბალაკოვი, მუტცელი
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
50 600 მაყურებელი

დენიზლისპორი (თურქეთი) 2:2 **პორტუ** *(პორტუგალია)* (1:6)

0:1 დერლეი სილვა (43), 1:1 ერსენი (52), 2:1 მუსტაფა (58), 2:2 კლეიტონი (87)
დენიზლისპორი: ჰაინენი, ჰაქანი, კრატოხვილი, ერსენი, მუსტაფა, ბენჩიკი (სერჰათი 80), სერდალი, თანდოგანი, ოზგური, ერთუღრული (კარამანი 46), სერვეთი
მწვრთნელი: რიზა კალიმბეი
პორტუ: ვიტორ ბაია, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, რიკარდუ კოშტა, მარიუ სილვა, პეიშოტო (კლეიტონი 80), დეკო სოუზა (მ. ფერეირა 53), ალენიჩევი, დერლეი სილვა, იანკაუსკასი (პოსტიგა 83), ბუზაკი
მწვრთნელი: ჟოზე მურინიუ
გაფრთხილება: ჰაქანი, ერთუღრული
მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
15 000 მაყურებელი

ანდერლეხტი (ბელგია) 2:0 **პანათინაიკოსი** *(საბერძნეთი)* (0:3)

1:0, 2:0 იესტროვიჩი (71, 81)
ანდერლეხტი: ზიტკა, ილიჩი, ვანდერეგე, დე ბუკი, იესტროვიჩი, ბასეჯიო, კოლარი (მორნარი 79), დოლი, დინდანე, ტიჰინენი, ლოვრე (სეოლი 53)
მწვრთნელი: უგო ბროოსი
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ვოკოლოსი, კირიაკოსი, ბასინასი, ლიბეროპულოსი, კარაგუნისი (სარიჩი 87), ფისასი, ოლისადებე (მ. კონსტანტინუ 76), სეიტარიდისი, მიკაელსენი (პ. კონსტანტინიდისი 58), გუმასი
მწვრთნელი: სერხიო მარკარიანი
გაფრთხილება: ვოკოლოსი, დინდანე, კოლარი, ლიბეროპულოსი, ვოკოლოსი, ვანდერეგე, კირიაკოსი
გაძევება: ვოკოლოსი (43), კონსტანტინიდისი (85)
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
17 000 მაყურებელი

***ლივერპული*** *(ინგლისი)* 2:0 ოსერი (საფრანგეთი) (1:0)

1:0 ოუენი (67), 2:0 მერფი (72)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ანშო (ბისკანი 77), ჰიიპია, ტრაორე (შმიცერი 46), დიუფი (ჰამანი 62), მერფი, ჯერარდი, რიისე, ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ოსერი: კოლი, რადეტი, ჟაურე, ბუმსონგი, მექსეში, ფეიე, ლაშუერი, ჟ. სისე (აკალე 77), ტაინიო, ფადიგა (მვარუვარი 77), მატისი
მწვრთნელი: გი რუ
გაფრთხილება: ტრაორე, მატისი, ტაინიო
მსაჯი: ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)
34 252 მაყურებელი

***ბოავიშტა*** *(პორტუგალია)* 1:0 ჰერტა (გერმანია) (2:3)

1:0 ავალოსი (83)
ბოავიშტა: რიკარდუ, რუი ოსკარი (კლაუდიუ 63), პაულუ ტურა, ავალოსი, ლოია (ალეშანდრე 46), პედრუ სანტუში, ფილიპე, პედროსა (იური 75), მარტელინიუ, ჟორჟე კოუტუ, ელპიდიუ სილვა
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, ვან ბურიკი, სიმუნიჩი, ჰარტმანი, დარდაი, მარქსი, მარსელინიო, გოორი (სვერისონი 87), ალვეში (პინტუ 70), პრეეცი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: ჟორჟე კოუტუ, ფილიპე, მარსელინიო, დარდაი, დარდაი, ელპიდიუ სილვა
გაძევება: დარდაი (65), ფილიპე (80)
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
6 000 მაყურებელი

ვისლა (პოლონეთი) — ლაციო (იტალია) (3:3) *გადაიდო*

## მეოთხედფინალის წილისყრა

მალაგა (ესპანეთი) — ბოავიშტა (პორტუგალია)
ბეშიქთაში (თურქეთი) — ვისლა (პოლონეთი) ან ლაციო (იტალია)
პორტუ (პორტუგალია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
სელტიკი (შოტლანდია) — ლივერპული (ინგლისი)

*პირველი მატჩები გაიმართება 13 მარტს, საპასუხოები — 20 მარტს*

## ჰოლანდია

**მეორე დივიზიონი. XXII ტური**

ეინდჰოვენი 0:1 დენ ჰააგი

## კალათბურთი

# ევროლიგა

**მეორე ჯგუფური ეტაპი. I ტური. 27 თებერვალი**

**E ჯგუფი**

სიენა 84:79 ულქერი

**F ჯგუფი**

კინდერი 73:83 მაკაბი

**G ჯგუფი**

ოლიმპია 72:74 ოლიმპიაკოსი

ბარსელონა 85:77 ვილერბანი

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. IV ტური. A ჯგუფი

# სახელდახელო ფრე

## სასწრაფო დახმარება კუპერისთვის

**ინტერი 0:0 ბარსელონა**

**ინტერი:** ტოლდო, ხ. ძანეტი, კანავარო, გამარა, პასკუალე, ბულიელმინპიეტრო (ხ. კონსეისაუ 78), დალმა (მარტინსი 61), კ. ძანეტი, მორფეო, კალონი (დი ბიაჯო 34), ვიერი

**მწვრთნელი:** ექტორ რაულ კუპერი

**ბარსელონა:** ბონანო, გაბრი, პუიოლი (ანდერსონი 79), დე ბური, რაიციგერი, როჩემბაკი (რიკელმე 68), ხავი, კოკუ (მენდიეტა 59), მოტა, სავიოლა, კლუივერტი

**მწვრთნელი:** რადომირ ანტიჩი

**გაფრთხილება:** მორფეო, პუიოლი, კოკუ, კანავარო, გაბრი

**მსაჯი:** ურს მაიერი (შვეიცარია)

**71 740 მაყურებელი**

**ნამატჩევს** რადომირ ანტიჩმა თქვა, ცოტა კი დამწყდა გული, რომ ვერ მოვიგეთ და რეკორდს ვერ შევწვდით, თუმცა მთავარი ხომ ჯგუფიდან გასვლაა, რაშიც მილანში მოპოვებული ქულაც დიდად წაგვადგებაო. თამაშიდანაც ისე ჩანდა, რომ „ბარსელონას“ სავსებით აკმაყოფილებდა ფრე, თორემ მეტად რომ მოენდომებინა, ეგებ მოეგო კიდეც.

მაგრამ მეორე მხრივ, „ინტერმაც“ გაცილებით უკეთ ითამაშა, ვიდრე რვა დღით ადრე „კამპ ნოუზე“, სადაც 0:3 წააგო. ექტორ რაულ კუპერმაც აღნიშნა, დღეს სულ სხვა განწყობით და შემართებით ვითამაშეთო. თუმცა მონდომება ერთია და მოგება, მეორე. მოსაგებად კი „ინტერს“ უბრალოდ ფეხბურთელები არ ჰყავდა და ამიტომაც იყო, რობერტო ბონანოს იშვიათად რომ აწუხებდა.

საოცარი უიღბლობა კი დაატყდა „ინტერს“ თავს, ჯერ კიდევ მატჩამდე ერთბაშად ოთხი ფორვარდი გამოაკლდა: ალვარო რეკობა დისკვალიფიცირებული გახლდათ, გაბრიელ ომარ ბატისტუტას წლეულს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება არ აქვს, ერნან კრესპო და ნიკოლა ვენტოლა კი ტრავმებს იშუშებენ. ექტორ კუპერს ორი ფორვარდიღა შერჩა — კრისტიან ვიერი და სიერალიონელი მოჰამედ კალონი და სხვა არჩევანიც არ ჰქონდა, ორივე სასტარტო შემადგენლობაში ათამაშა. მატჩამდელ უბედობას კი შეხვედრისას ახალი დაემატა: კალონი დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. კუპერს რთული კომბინაციის გათამაშება მოუხდა — რაკი თავდამსხმელი აღარ ჰყავდა, კალონის მაგივრად შესულ ლუიჯი დი ბიაჯოს ნახევარდაცვაში სტეფან დალმას ფუნქციების შესრულება დაავალა, ფრანგი შუახაზელი კი შეტევაში გადაისროლა.

განა ყველაფერი ამით დამთავრდა — თამაშის დაწყებიდან ერთი საათის გასვლის მერე დალმა დაიმტვრა და კუპერს მეტი რა დარჩენოდა, ყმაწვილი ნიგერიელი აკინვუნმი მარტინსი შეუშვა. აი, უიღბლობათა ამსიგრძე ჯაჭვის გამო შედგა მარტინსის სალიგო დებიუტი.

მაგრამ ყველაფერი ამითაც არ დასრულებულა — 78-ე წუთზე კუპერმა მესამე შეცვლაც გააკეთა, გულის მაგივრად სერჟიო კონსეისაუ შეიყვანა, ორ წუთში კი დომენიკო მორფეოც დაიმტვრა. „ინტერს“ შეცვლათა ლიმიტი ამოწურული ჰქონდა და, ფაქტობრივად, ათი ფეხბურთელით დარჩა — მორფეო მოედნიდან არ გასულა, მაგრამ აღარაფერი გაუკეთებია, უბრალოდ იდგა.

ყოველივე ამის მერე, მოდი და თქვი, რომ „ინტერისთვის“ საშინაო ერთი ქულა ცუდი შედეგია. ისე, გოლზე თუ მიდგა საქმე, ვიერიმ მეორე წუთზევე გაიტანა, მაგრამ იმ დროისთვის თანამსაჯს ალამი უკვე აწეული ჰქონდა. უცნაური ამბავია: ვიერიმ ამ სეზონის სერია A-ში უკვე 21 გოლი გაიტანა, ევროთასებზე კი წელიწადზე მეტია, აღარ უხეირია. ბოლოს მან 2001 წლის 6 დეკემბერს გაიხარა, როცა უეფას თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრაში „იფსვიჩ თაუნს“ ჰეთ თრიქი შეუსრულა.

ექტორ კუპერმა კი დასძინა: „ნებისმიერი მწვრთნელი გეტყვით, რომ მატჩისას სამი ფეხბურთელის დამტვრევა მთლიანად ცვლის თამაშს. სამჯერ ტაქტიკის სახელდახელოდ გადაწყობა მოგვიხდა, რაც ძალიან ძნელია. მიუხედავად ამისა, მოგება მაინც შეგვეძლო, „ბარსელონამ“ საკმაოდ დიდი



REUTERS მილანიდან

მოჰამედ კალონი გაოცებულია: ფაბიო როჩემბაკის და კარლეს პუიოლის ზურგს უკან, სადაც კრისტიან ვიერის თავი ეგულება, მხოლოდ ბურთი ჩანს

სივრცეები დაგვიტოვა ფლანგებზე, ეს უნდა გამოგვეყენებინა და ვიერი განივი პასებით მოგვემარაგებინა, რაც სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ.“

ახლა ჯგუფში ასეთი ვითარებაა: „ბარსელონას“ ჯგუფიდან გასასვლელად ერთი ქულაც ჰყოფნის, რისი აღებაც მომდევნო ტურში წყალწაღებულ „ლევერკუზენთან“, თანაც საკუთარ მოედანზე არ უნდა გაუჭირდეს. ხოლო თუ სასწაული მოხდა და „ბარსამ“ წააგო, მაინც შეუძლია მეოთხედფინალში ვადამდე გასვლა. ამისთვის „ინტერი“ — „ნიუკასლის“ მატჩში ფრეს გარდა ნებისმიერი შედეგი აწყობს.

# სანუკვარი სულელი კრისი და სამჯერ ბედნიერი შირერი



REUTERS ნიუკასლიდან

ალან შირერმა დიეგო პლასენტე დაიბრიყვა და ბურთს საგოლედ უთავაზა

**ნიუკასლი 3:1 ლევერკუზენი**

**1:0, 2:0, 3:0 შირერი (5, 11, 36პ), 3:1 ბაბიჩი (73)**

*ნოივილმა ვერ გაიტანა პენალტი (20, მეკარე)*

**ნიუკასლი:** გივენი, გრიფინი, ბრემბლი, კოლდუელი, ბერნარი, კერი (ვიანა 81), დაიერი (სოლანო 69), სპიდი, რობერი, შირერი (ლუა ლუა 81), ამეობი

**მწვრთნელი:** ბობი რობსონი

**ლევერკუზენი:** ბუტი, პროისი, კლაინი, კრისი (ჟივკოვიჩი 29), პლასენტე, რამელო (ბაბიჩი 46), კალუჟნი, ნოივილი (ბრდარიჩი 61), ბაშთურქი, შიმაკი, ფრანცა

**მწვრთნელი:** თომას ჰიორსტერი

**გაფრთხილება:** ბრდარიჩი

**მსაჯი:** კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

**40 508 მაყურებელი**

**ოლივერ ნოივილს** მე-20 წუთზე პენალტი რომ გაეტანა, მატჩის მიწურულს კი რადოსლავ კალუჟნის ხარიხასთვის გარტყმული ბურთი ოდნავ დაბლა რომ წასულიყო, ახლა „ლევერკუზენი“ ერთი ქულის მფლობელი იქნებოდა და ჯგუფში ჩარჩენილადაც არ ჩაითვლებოდა. თუმც ამ უაზრო ლაპარკს შევეშვათ და საქმეს მივხედოთ.

საქმე კი ასეა: „სენტ ჯეიმსიზ პარკის“ ტრიბუნაზე მოკალათებულმა სვენ გორან ერიკსონმა სამჯერ სინანულით გააქნია თავი, რა იქნებოდა, ეს კაცი ნაკრებში რომ მყოლოდაო. „ეს კაცი“, მიხვდებოდით, ალან შირერია, ვინაც სანაკრებო კარიერის დასრულების შემდეგ ახალგაზრდობა გაიხსენა და გოლების გატანას უხშირა. შირერმა „ლევერკუზენი“ ჰეთ თრიქით გაისტუმრა. ერთ მატჩში სამი გოლის გატანა მას 1999 წლის სექტემბრის მერე ვერ მოეხერხებინა, ამ შეხვედრამდე კი ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

ახლა „ნიუკასლს“ ექვსი ქულა აქვს, ექვსივე ლიგის შარშანდელ ფინალისტს აართვა, ოღონდ მეოთხედფინალში გასვლა თუ სურს, დანარჩენი მეტოქეებიც უნდა დაჯაბნოს, რაც პირველ წრეში, შევნიშნოთ, არ გამოუვიდა.

ინგლისელები მთელი ტაიმნახევარი თავის ჭკუაზე ატრიალებდნენ მეტოქეს, მერე საქმე მოთავებულად ჩათვალეს, მოეშვნენ და ერთი საპასუხო გოლიც გაუშვეს, რასაც მათთვის გული, ცხადია, არ დაუწყვეტია.

შირერმა აღრიანად გახსნა ანგარიში, გარი სპიდისგან ბურთი მიიღო, კრისი და დიეგო პლასენტე იოლად ჩამოიცილა და ჰანს იორგ ბუტსაც იოლად გაუსწორდა.

მეორე გოლისას, პირველიდან ექვსი წუთის შემდეგ, ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა კრისის უყურადღებობით ისარგებლა: შირერმა მცველის უხეირო პასი ჩაჭრა და ბურთი შოლა ამეობის გადაულოცა. ამან, თავის მხრივ, ორი მეტოქე ჩამოიცილა და დაარტყა. ბურთს თავგზააბნეული კრისი გადაეფარა, მიმართულება უცვალა და ისევ შირერს მიართვა. შირერმა ახლოდან გაიტანა, ხოლო გერმანელთა დროებითმა მწვრთნელმა ჰორსტ ფიორსტერმა კრისის საცოდაობას ვერ გაუძლო და მალევე შეცვალა.

თუმცა კრისის შეცვლამდე თავში ნახსენები პენალტი დაინიშნა — თომას კლაინის მიერ კირონ დაიერის წაქცევისთვის და შირერმაც ნოივილს პენალტის დარტყმის გაკვეთილი ჩაუტარა.

შესვენების მერე აღსანიშნავი ეპიზოდები ნაკლები იყო, რაც გასაკვირი არცაა. შირერს კიდევ ორი ბურთის გატანა მართებდა, მაგრამ ჰეთ თრიქი იკმარა. საპასუხო კი მარკო ბაბიჩმა გაიტანა ილდირაი ბაშთურქის დახმარებით.

ნამატჩევს მასპინძელთა მენეჯერმა სერ ბობი რობსონმა „ლევერკუზენზე“ მეტად მომდევნო მეტოქეებზე ილაპარაკა: „გუნდში არსებული განწყობით კმაყოფილი ვარ. ბიჭები ერთხმად ამბობენ, „ინტერის“ საერთოდ არ გვეშინიაო — ამგვარი განწყობა კი ძალიან მნიშვნელოვანია. თუ „ინტერს“ მოვუგებთ, მჯერა, რომ ბოლო ტურში „ბარსელონასაც“ დავამარცხებთ“.

ალან შირერმა მწვრთნელის ნათქვამს დასძინა: „გუშინ ვამბობდი, თუ გავიტან, ბედნიერი ვიქნები, მაგრამ უფრო მეტ სიხარულს გამარჯვება მომინიჭებს-მეთქი. უზომოდ კმაყოფილი ვარ, ორივე ნატვრა რომ ამისრულდა.“

რობსონმა კი განაგრძო: „ფეხბურთში შეუძლებელი არაფერია. მაგალითად, არ ვთვლი, რომ გუშინ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ტურინში კარგად ითამაშა, მაგრამ დიდი ანგარიშით მოიგო. ამიტომაც ვამბობ, რომ მილანში მოგება შეგვიძლია, მით უმეტეს, რომ ძალიან კარგ ფორმაში ვართ“.

ჰორსტ ფიორსტერს, ცხადია, სულ სხვა პრობლემები აწუხებს: „თამაში პირველ ათ წუთში დასრულდა. უბრალოდ არ შემიძლია აეხსნა, თუ რა დაემართა კრისს. ის გამოცდილი ფეხბურთელია, ბრაზილიის ნაკრებშიც უთამაშია და ასეთ სულელურ შეცდომებს არ უნდა უშვებდეს. ერთი შეხედვით, მეორე ტაიმი უკეთ ჩავატარეთ, მაგრამ ასე არ ვფიქრობ. უბრალოდ მეტოქემ თავი აღარ შეიწუხა“.

ბოლოს გერმანელს შირერზეც ჰკითხეს: „ჩვენმა მცველებმა ისე საზიზღრად ითამაშეს, ნებისმიერი ფორვარდი გაიტანდა“.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| ინტერი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ნიუკასლი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:9 | 6 |
| ლევერკუზენი | 4 | 0 | 0 | 4 | 5:11 | 0 |

# ცოცხალია, ცოცხალი!



ფრანჩესკო ტოტი

**ფრანჩესკო ტოტიმ** ვირტუოზულად ითამაშა — „რომამ“ ვალენსიაში 3:0 გაიმარჯვა და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისკენ გაიხედა.

მოგეხსენებათ, ფაბიო კაპელო და მისი ფეხბურთელები ესპანეთში ჩასვლის წინ ქულის გარეშე იყვნენ, მაგრამ... ორი გოლი და ერთი საგოლე პასი, ასეთია ტოტის მონაგარი! იმის არ იყოს, „ლაზარეში“ რომ არის, ტყემლით მაინც სულ სხვააო, „რომა“ ტოტით მაინც სულ სხვაა, დაბრუნდა გუნდის სული და გული და იტალიის დედაქალაქის გუნდმა, ალბათ სეზონის ყველაზე კაშკაშა გამარჯვება მოიპოვა.

პირველი გოლი 25-ე წუთზე გავიდა, როდესაც ვენსან კანდელას ჩაწოდებული კუთხური „რომას“ კაპიტანმა თავური გოლით დააგვირგვინა. ამ ამბიდან ხუთი წუთის შემდეგ მანვე მარჯვენა ფეხი დაჰკრა ბურთს და მეორე გოლი შეაგდო.

ფრანჩესკო ტოტიმ მესამე გოლშიც ლომის წილი დაიდო, ემერსონმა საბოლოო დარტყმა სწორედ მისი პასით შეასრულა — თან, ეს ყველაფერი მალევე მოხდა, 36-ე წუთზე — ამის, უფრო სწორედ შესვენების შემდეგ კი, მართალია „ვალენსიამ“ მნიშვნელოვნად გამოაკეთა თამაში, მაგრამ იტალიელთა დაცვას ბზარი ვერ გაუჩინა.

რა მოიტანა ამ შედეგმა? ამისთვის გავიხსენოთ, რომ ამავე B ჯგუფის მეორე წყვილმა, „აიაქსმა“ და „არსენალმა“ „ამსტერდამ არენაზე“ 0:0 ითამაშეს და ჩავხედოთ ცხრილს, რომლის საბოლოო სახემდე კიდევ ორი ტურია ჩასატარებელი. „აიაქსსა“ და „არსენალს“ ექვსი ქულა აქვთ, „ვალენსიას“ ხუთი დარჩა, „რომას“ კი უკვე სამი გაუხდა. დაგვეთანხმებით, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ხომ მართალია?

„ცნობები ჩვენი სიკვდილის შესახებ გადაჭარბებულია — მარკ ტვენის ამ ცნობილი სიტყვებით დაიწყო ფაბიო კაპელომ თავისი პრესკონფერენცია — ამიერიდან, შემდეგ ეტაპზე გასასვლელად, მხოლოდ კარგი შედეგები გვჭირდება. ჩვენ ძალიან ბევრ შეხვედრაში ვითამაშეთ კარგად, მაგრამ შედეგი არ გვივარგოდა. ახლა მდგომარეობა გაუმჯობესდა. „ვალენსია“ დიდებული ფეხბურთით დავამარცხეთ. მასპინძლებს გზებზე გალაღების და საჯარიმოში აქტიურობის საშუალება არ მივეცით. საკუთრივ ჩვენი თამაში კი ოსტატური იყო“.

თავის მხრივ, „ვალენსიას“ თავკაცმა რაფაელ ბენიტესმა აღიარა, რომ მისმა გუნდმა ცუდად ითამაშა, თუმცა დასძინა, რომ ამ შედეგის მიუხედავად, მეოთხედფინალში გასვლის რწმენა არ დაუკარგავს.

„დარჩენილ ორ შეხვედრაში გამარჯვება მიზანთან მიგვიყვანს. ჩვენ ბრძოლას განვაგრძობთ და ამ შეჯიბრებაში მაქსიმუმის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებთ. დღეს, ნელ-ნელა, ყველაფერი თითებს შორის გაგვიძვრა. თავიდან უპირატესობა ჩვენს მხარეს იყო, მაგრამ როგორც კი მეტოქემ პირველი გოლი გაიტანა, ცუდად ავთამაშდით. იმ გუნდისთვის, რომელსაც კონტრშეტევა უყვარს, ძალიან ბევრი სივრცე გავანთავისუფლეთ“.

ვინ იცის, ბენიტესის შეცდომა ის გახლდათ, რომ სასტარტო შემადგენლობაში არგენტინელი გამთამაშებლის, პაბლო აიმარის გაყვანა არ გარისკა. ასე იყო თუ ისე, „რომას“ დაცვა მართლაც შეუვალი ჩანდა, ხოლო რაც შეეხება შეტევას, აქ ერთადერთი წინ წაწეული მოთამაშე ანტონიო კასანო გახლდათ, ზემოთ ასე ნაქები ტოტი კი მოედანს, თითქოს არ ეტყობოდა.

ყველაფერი მართლაც პირველი გოლის შემდეგ შეიცვალა. „ვალენსია“, ეტყობა გოლის გაშვებას არ ელოდა, რადგან უეცრად მისთვის ჩვეული და ხშირად წარმატებული თამაშის ნირი შეიცვალა და პირდაპირ მიაწყდა სტუმრების საჯარიმოს. ასეთმა აღელვებამ, არც მეტი, არც ნაკლები, მათ კარში გატანილი მეორე გოლი მოიტანა.

და, როგორ გგონიათ, რა მოხდა მერე? უარესად დაბნეული „ვალენსია“ კიდევ ერთხელ მიაწყდა „რომას“ კარს და ამ მომენტისთვის მერვე, მაგრამ კვლავ უშედეგო კუთხური ჩააწოდა და... მესამე გაუშვა.

მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლებს ჩინებული მომენტი ჰქონდათ: ხუან სანჩესი მეკარე ფრანჩესკო ანტონიოლისთან პირისპირ დარჩა, მაგრამ დუელში გოლკიპერმა გაიმარჯვა.

ამის შემდეგ „ვალენსიას“ კიდევ ჰქონდა ერთი-ორი მომენტი, პაბლო აიმარი კი ბენიტესმა შეხვედრის დასრულებამდე 25 წუთით ადრეღა შეიყვანა მოედანზე, თუმცა ამ დროისთვის ისედაც კარგად მოთამაშე რომაელი მცველები საბოლოოდ იყვნენ ეშხში შესულნი.

**ბაჩუნა ძიდია**



რომაელმა ემერსონმა იონ კარეუს ბურთთან მიასწრო

**ვალენსია 0:3 რომა**

**0:1, 0:2 ტოტი (25, 30), 0:3 ემერსონი (36)**

**ვალენსია:** კანისარესი, რეველიერი, აიალა, პელეგრინო (კარბონი 77), აურელიო, რუფეტე (აიმარი 65), ალბელდა, ბარახა, ვისენტე (კილი გონსალესი 52), ხუან სანჩესი, კარეუ

**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი

**რომა:** ანტონიოლი, სამუელი, ალდაირი, ძებინა (კუფრე 63), კანდელა, კაფუ, ემერსონი, ტომაზი, ლიმა, ტოტი (ფუზერი 88), კასანო

**მწვრთნელი:** ფაბიო კაპელო

**გაფრთხილება:** რუფეტე, ძებინა, სამუელი

**მსაჯი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

**45 000 მაყურებელი**

# ვის რად უნდა ფეხბურთის თამაში?



აიაქსელი ტრაბელსი რობერ პირესს წამოედო

**აიაქსი 0:0 არსენალი**

**აიაქსი:** ლობონტი, ტრაბელსი, კიეუ, გალაშეკი (იაკუბუ 71), ვიზგე, პასანენი, დე იონგი, პიენაარი (უესლი 90), მაქსველი, ვან დერ მეიდე, იბრაჰიმოვიჩი (მიდო 84)

**მწვრთნელი:** რონალდ კუმანი

**არსენალი:** სიმენი, ლორენი, კემპბელი, კიოუნი, კოული, ვილტორდი (ჯეფერსი 79), ჟილბერტო სილვა, ვიეირა, პირესი (ვან ბრონკჰორსტი 87), ანრი, ბერხკამპი (პარლოუ 79)

**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი

**გაფრთხილება:** კოული, ვიეირა

**მსაჯი:** ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

**51 500 მაყურებელი**

**„ამსტერდამ არენაზე“** „აიაქსსა“ და „არსენალს“ შორის ისეთი თამაში გაიმართა, სასეიროს რომ ვერ უწოდებ. 0:0-იც არის და 0:0-ც, ხომ მართალია? ენა როგორ მოგვიტრიალდება ჰოლანდიის და ინგლისის ამ ორი ძლიერი გუნდის ზეოსტატობაში ეჭვის მარცვალი შევიტანოთ, მაგრამ მთელი შეხვედრის განმავლობაში აქეთ-იქით ერთი და იმავე ტემპით სირბილი ცოტა მომაბეზრებელი გვეჩვენა. ერთი სიტყვით, ჩვენ ჩვენსას ვჩივით, თორემ ისე, შეხვედრა, ცხადია, მაღალი რანგისა გახლდათ. აი, წარმოიდგინეთ, ძალიან ოსტატური ნაწერი, ვთქვათ, თქვენთვის საინტერესო საკითხზე, ოღონდ აბზაცის გარეშე...

თუმცა, ზემოთ ნათქვამისთვის აქვე ვიხდით ბოდიშს. გვესმის, რომ შესაძლოა ბევრის ერთი ან მეორე გუნდისადმი გრძნობას შევეხოთ, ეს კი არ ვარგა, მით უმეტეს, ჩვენს გამოფიტულ ცხოვრებაში ხალხის ნაწილი იქამდეა მისული, რომ რომელიმე უცხოური გუნდის ცუდ ამბავს უფრო განიცდის, ვიდრე საქართველოს ცუდი ხელისუფლების ამბავს.

ისე კი, „არსენალის“ მწვრთნელს, არსენ ვენგერს თამაშის მერე უთქვამს, ეს რა იყო, „აიაქსმა“ ერთხელაც არ შემოგვიტიაო. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა ამსტერდამში ჩატარდა, სტუმრების მეკარეს, დევიდ სიმენს, ერთხელ არ მოუხდა გადახტომა. ალბათ, ასე დგომისგან, ამ თებერვალში შესცივდა კიდეც.

თუმცა, „აიაქსის“ თავკაცი რონალდ კუმანი სიმენის გაცივებაზე ეტყობა ნაკლებად დარდობდა.

„როდესაც ხალხი ამბობს, რომ თამაშს ნეგატიურად მივუდექით, მათი საქმეა, ილაპარაკონ. მე ასე ვიტყოდი: ჩვენ გულუბრყვილონი არ გახლავართ და „მანჩესტერ სიტისავით“ არ ვიქცევით“.

შეგახსენებთ, გასულ შაბათს ინგლისის ჩემპიონატში „მანჩესტერ სიტიმ“ შინ, „მეინ როუდზე“ უმასპინძლა „არსენალს“ და 1:5 წააგო, თან ისე, რომ პირველ 20 წუთში უკვე 0:4-ს აგებდა.

კუმანმა განაგრძო: „ძალიანაც კმაყოფილი ვარ იმით, რაც გავაკეთეთ, მით უფრო იმის გათვალისწინებით, თუ ვის ვეთამაშებოდით. „არსენალთან“ ორი ფრე ნათლად მიგვანიშნებს სად დგას ჩვენი სრულიად ახალგაზრდა გუნდი. ცხადია, „ვალენსიასა“ და „რომას“ შედეგმა გამაკვირვა, მაგრამ ვშიშობდი, რომ აქ შეიძლებოდა უარესი მიგველო. ვფიქრობ, დღეს ლონდონელებმაც უფრო ფრთხილად ითამაშეს ვიდრე ერთი კვირის წინ. ამას მათი შეცვლებიც ადასტურებს“.

„არსენალის“ კაპიტანი, ფრანგი პატრიკ ვიეირა: „ფრე ორივეს გვაძლევდა ხელს. „აიაქსი“ მეორე ტაიმში მოგვაწვა, მაგრამ ჩვენ კარგად ვიმუშავეთ და ქულა დავიმსახურეთ. ჯერ ყველაფერი წინ არის. ჩვენს ჯგუფში ყველას ყველასთან შეუძლია გამარჯვება. „რომასთან“ გველის ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა. რაც შეეხება „აიაქსს“, ტრადიციულად ამ გუნდს ფეხბურთის თამაში უყვარს, თუმცა დღეს მას სწორედ ეს არ სურდა. გოლების საქმე კი ასეა, ხანდახან 20 წუთში ოთხს გაიტან, ხანდახან მთელ თამაშში ვერცერთს. მეორე ტაიმში დავიღალეთ“.

**ბაჩუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **აიაქსი** | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| **არსენალი** | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 6 |
| **ვალენსია** | 4 | 1 | 2 | 1 | 2:4 | 5 |
| **რომა** | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |

# აიაქსს რეკორდები დაუთვალეს

**მშობლიურ** „კამპ ნოუზე“ „ინტერის“ ძლევით „ბარსელონამ“ ჩემპიონთა თასის (ლიგის) რეკორდი დაამყარა — მისებრ ზედიზედ 11 თამაში აქამდე არავის მოეგო. ძველი რეკორდი, 10 მოგება, შეგახსენებთ, „მილანს“ ეკუთვნოდა და 1992-93 წლების სეზონში დაამყარა.

„ბარსელონას“ გუშინწინ იმავ „ინტერისთვის“, ოღონდ „სან სიროზეც“ რომ მოეგო, ევროსათასო რეკორდსაც შეწვდებოდა — ამსტერდამის „აიაქსს“ თავის დროზე თასების მფლობელთა თასზე მიჯრით 12 მატჩი აქვს მოგებული.

რეკორდი არ შედგა, მაგრამ „ბარსელონა“ კვლავაც განაგრძობს სარეკორდო სვლას — მას წაუგებელ თამაშთა სერიის გაუმჯობესება შეუძლია. ჩემპიონთა თასზე წაუგებელ მატჩთა რეკორდი ოცია და ის კვლავაც „აიაქსს“ ეკუთვნის, მთლიანად ევროთასებზე კი რეკორდი 19 თამაშია და ისიც „აიაქსისაა“.

1994 წლის გაზაფხულზე „აიაქსი“ თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში „პარმასთან“ დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა. მომდევნო სეზონში ამსტერდამელები უკვე ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდნენ და თასიც ისე აიღეს, გზად ერთი თამაშიც არ წაუგიათ. ამის მომდევნო, 1995-96 წლების სეზონში „აიაქსი“ ლიგის ნახევარფინალამდე დაუმარცხებლად მივიდა, იქ კი საშინაო მარცხი იწვნია „პანათინაიკოსთან“. „პარმადან“ „პანათინაიკოსამდე“ კი „აიაქსმა“ 19 თამაში ჩაატარა დაუმარცხებლად.

ეს „აიაქსის“ ევროსათასო რეკორდია, რომელიც მთლიანად ჩემპიონთა თასზე ნათამაშები მატჩებისგან შედგება, საჩემპიონთათასო რეკორდი კი ამ 19 მატჩს მოიცავს, ოღონდ 1985 წელს „პორტუსთან“ ნათამაშები ფრით იწყება და ჯამში 20 მატჩი გამოდის.

ვფიქრობთ, ცოტათი დაგაბნიეთ და უპრიანია განვმარტოთ.

1985-86 წლების სეზონში ჩემპიონთა თასის პირველ ეტაპზე „აიაქსმა“ პორტუში 0:2 წააგო, მერე შინ 0:0 ითამაშა და ტურნირს გამოეთიშა. ამის მერე კი, 1994 წლამდე ამსტერდამელებს ჩემპიონთა თასზე აღარ უთამაშიათ, „პსვ ეინდჰოვენის“ ზეობის წლები იყო.

აქ ერთი საინტერესო ამბავიც უნდა გავიხსენოთ. „აიაქსმა“ 1990 წელს ჰოლანდიის ჩემპიონობა კი მოიპოვა, მაგრამ ჩემპიონთა თასზე უეფამ არ დაუშვა — წინა სეზონის უეფას თასზე ვენის „აუსტრიასთან“ გავარდნით გაცოფებულმა ამსტერდამელმა ქომაგებმა სტადიონზე არეულობა მოაწყეს, რის გამოც „აიაქსი“ ევროთასებიდან მოკვეთეს.

ერთი სიტყვით, „აიაქსის“ საჩემპიონთათასო 20-მატჩიანი წაუგებელი სერია 1996 წლის გაზაფხულიდან 1996 წლის გაზაფხულამდე გაგრძელდა.

„ბარსელონას“ საქმე კი ასეა: ამ სეზონში კატალონიელებს 12 წაუგებელი თამაში დაუგროვდათ, რასაც წინა სეზონში, ლიგის ნახევარფინალში, „რეალთან“ ნათამაშები ფრეც ემატება და ჯამში 13 შეხვედრა გამოდის. „ბარსამ“ წლეულს ფინალში თუ დაუმარცხებლად გააღწია და თასიც აღმართა, „აიაქსის“ საევროთასო რეკორდს მოხსნის, ჩემპიონთა თასისას კი გაიმეორებს.



რეკორდსმენი „აიაქსი“

**წაუგებელი სერიები ჩემპიონთა თასზე (ლიგაში)**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აიაქსი | ჰოლანდია | 1985-86 | 1995-96 | 20 |
| ბაიერნი | გერმანია | 2000-01 | 2001-02 | 19 |
| მანჩესტერი | ინგლისი | 1997-98 | 1998-99 | 18 |
| ცრვენა ზვეზდა | იუგოსლავია | 1988-89 | 1991-92 | 17 |
| კიოლნი | გერმანია | 1962-63 | 1978-79 | 15 |
| აიაქსი | ჰოლანდია | 1970-71 | 1972-73 | 14 |
| ლივერპული | ინგლისი | 1980-81 | 1981-82 | 14 |
| ბარსელონა | ესპანეთი | 2001-02 | გრძელდება | 13 |

**აიაქსის საევროთასო და ჩემპიონთა თასის წაუგებელი სერიები**

**1985-86 ჩ.თ. პირველი ეტაპი**
აიაქსი 0:0 პორტუ
(საპასუხო მატჩი)

**1994-95 ჩ.ლ. ჯგუფური ეტაპი**
აიაქსი 2:0 მილანი
აეკ 1:2 აიაქსი
ზალცბურგი 0:0 აიაქსი
აიაქსი 1:1 ზალცბურგი
მილანი 0:2 აიაქსი (ტრიესტში)
აიაქსი 2:0 აეკ

**1/4 ფინალი**
ჰაიდუკი 0:0 აიაქსი
აიაქსი 3:0 ჰაიდუკი

**1/2 ფინალი**
ბაიერნი 0:0 აიაქსი
აიაქსი 5:2 ბაიერნი

**ფინალი**
აიაქსი 1:0 მილანი (ვენაში)

**1995-96 ჩ.ლ. ჯგუფური ეტაპი**
აიაქსი 1:0 რეალი
ფერენცვაროში 1:5 აიაქსი
აიაქსი 3:0 გრასჰოპერი
გრასჰოპერი 0:0 აიაქსი
რეალი 0:2 აიაქსი
აიაქსი 4:0 ფერენცვარაში

**1/4 ფინალი**
დორტმუნდი 0:2 აიაქსი
აიაქსი 1:0 დორტმუნდი

# გააჩერე! სვლააკრეფილი ეფენბერგი ენად გაიკრიფა



**შტეფან ეფენბერგი** მიონხენგლადბახის „ბორუსიაშიც“ მგელი იყო, მიუნხენის „ბაიერნში“ რომ გადავიდა, იქაც არ მოუშლია მგლობა და ახლა „ვოლფსბურგის“ კაპიტანი „მგლების“ გუნდში ხომ მგელია და მგელი.

ეფენბერგს მადაც მგლური აქვს. თავისუფლად ხეტიალი და ავტომობილის ჭენება უყვარს, მაგრამ გერმანიაში საგზაო პოლიციას არ სძინავს. „ვოლფსბურგის“ კაპიტანი ქალაქის ერთ-ერთ ავტოსტრადაზე საკუთარი ოთხთვალათი მიქროდა. მიქროდა 120 კმ/სთ სიჩქარით. როცა პოლიციელებს ჩაუქროლა, ცხადია, დაედევნენ და ფეხბურთელს სიამოვნება ჩაუმწარეს.

ეფენბერგის სასაუბრო ლექსიკონში საგინებელი სიტყვების მარაგი უხვად მოიპოვება. იგი გადმოვიდა მანქანიდან და სანამ პოლიციელი საკუთარ თავს წარუდგენდა, ფეხბურთელის საინფორმაციო ღრუდან ბილწსიტყვაობამ იფეთქა. ფორმიანებმა კი იცნეს, რომ „ვოლფსბურგის“ კაპიტანი იყო, მაგრამ გერმანია საქართველო ხომ არაა, პოპულარობის გამო წესრიგის დამრღვევი პირზე კოცნით გაეშვათ. იქაური პოლიციის შეფმა, რუიდიგერ ფიშბახმა ბრძანა, ვინც არ უნდა იყოს, ჩვენთვის სულ ერთია, სიჩქარის გადაჭარბებისთვის და პოლიციელების შეურაცხყოფისთვის ისეთ ჯარიმას აკკიდებთ, არასოდეს დაავიწყდებაო. ეს ამბავი ვოლფსბურგის ერთ-ერთ გაზეთში გაცხადდა და, რა თქმა უნდა, ეფენბერგმა, როგორც წესი, ყველაფერი უარყო.

გავიხსენოთ, რომ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე „ეფემ“ გულშემატკივრებს შუა თითი აჩვენა და ამის გამო ნაკრებიდან მოკვეთეს. მერე გერმანიაში უმუშევრებს გადასწვდა, მუქთა პურს ჭამენ, მე კი მოედანზე ოფლს ვღვრი, სხვის ჯიბეებში რას დაძვრებიან, ჩემი ხელფასი რა მაგათი საქმეაო. ბოლოს მიუნხენის ერთ-ერთ ღამის კლუბში მანდილოსანს გაულაწუნა და 75 ათასი დოლარი ჯარიმაც ააფცქვნეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ითამაშეთ ფეხბურთი ჰოკეის წესებით

**ფეხბურთში**, შესაძლოა, ახალი წესი დადგინდეს. რამდენიმე ქვეყნის ფედერაციამ უკვე მიაკაკუნა ფიფას კარზე, ვგებ სიახლე დავნერგოთო. საქმე ისაა, რომ ზოგიერთის აზრით, მაგალითად, ყვითელ ბარათს მაინცდამაინც დიდი ეფექტი არა აქვს. ფეხბურთელმა შეიძლება მეტოქეს მაისურაზე დაქაჩოს ან საყვითელბარათოდ ეუხეშოს და საგოლე მომენტი ჩაშალოს. მიუხედავად ამისა, „გაყვითლებული“ მოედანზე რჩება და თამაშს აგრძელებს. ფიფა წესების გამკაცრებას აპირებს და ალბათ ჰოკეის დაესესხება, ანუ დამნაშავე ფეხბურთელს გარკვეული დროით მოედანს დაატოვებინებენ. ეს ახალი პროექტის მხოლოდ ნაწილია. საბოლოო ვარიანტს 15 მარტს ბელფასტში განიხილავენ ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საბჭოზე. ამ საბჭოში თავისი წარმომადგენლები ჰყავთ უელსს, შოტლანდიას, ჩრდილოეთ ირლანდიასა და ინგლისს. ცხადია, სხდომას ფიფა-უეფას ჩინოვნიკებიც დაესწრებიან.

ფიფელმა ანდრეას ჰერენმა ბრძანა, თუ ეს წესი დამტკიცდა, მას ჯერჯერობით მხოლოდ ჭაბუკთა ტურნირებზე დავნერგავთო: „ახალგაზრდებისთვის ეს წესი, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება, რადგან შეგნებულად უხეშობას მალევე გადაეჩვევიან. თუმც წლეულს ახალი წესის უფრო მაღალ დონეზე გამოყენება რთული იქნება, რადგან სხვადასხვაგვარ პრობლემას გადავაწყდებით. ამ საქმეს სულ ცოტა, ერთი კაცი მაინც დასჭირდება, რათა გაძევებულ ფეხბურთელს დრო დაუნიშნოს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩანგალი

**„ლიდსის“** სტადიონ „ელანდ როუდის“ გვერდით არის სასადილო. მისი პატრონი მიკ ბეილია. ბეილის სასადილოში, როგორც სრულიად ინგლისში, „ფიშ ენდ ჩიპსი“ რომ მოიკითხოთ, უმალ მოგართმევენ. ეს ეროვნული კერძთა კერძია. შემწვარ თევზსა და კარტოფილს კარგი გასავალი აქვს. თევზ-კარტოფილის პირამდე მისატანად ჩანგალი სჭირდება, რომელიც შეიძლება მრავალნაირად იყოს შეფერილი.

ერთ მშვენიერ დღეს მიკ ბეილიმ შეამჩნია, რომ მის სასადილოში კლიენტურამ იკლო. ან კიდევ ზოგიერთი სტუმარი ჩანგლით ჭამას ერიდებოდა და პირდაპირ ხელით მიირთმევდა. „ჭურჭელი სხვადასხვა ფერის მაქვს — თქვა მიკმა — დავაკვირდი და ვნახე, რომ თეთრი და ყვითელი ხშირად მიჰქონდათ, წითელს კი არავინ ეკარებოდა. გავკოცდი, დავფიქრდი და მივხვდი. იცით, მიზეზი რა ყოფილა? წითელი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფერია, ლიდსელებს კი „მანჩესტერი“ გულზე არ ეხატებათ. რა მექნა? წითელი ფერის ჭურჭელი მოვისროლე და ახლა საქმე ძველებურად აეწყო. კლიენტი ისევ მობრუნდა. ეს რომ ასეა, „ლიდსის“ ქომაგმაც დამიდასტურა“.

მავანმა ფანმა გარეტ ჰემინგუეიმ მიკ ბეილის თურმე ყურში ჩასჩურჩულა: „ლიდსი“ — „მანჩესტერ იუნაიტედის“ მატჩის დღეს წითელ ჩანგალს კი არა, თევზზე პომიდვრის ტომატსაც არ მოვასხამ, იმიტომ რომ „მანჩესტერის“ ფერიაო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# აზერბაიჯანული აჯაფსანდალი

უკვე რამდენიმე თვეა, აზერბაიჯანულმა კლუბებმა ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს და ფეხბურთის ფედერაციას უჩივლეს. კლუბების წარმომადგენელთა თქმით, ფედერაცია ფიფა-უეფას კანონებს არ ასრულებს. ამიტომაც ამჟამინდელი ფედერაციის დაშლას და ახლის ჩამოყალიბებას ითხოვენ. ისეთი ქაოსი შეიქმნა, რომ უეფამ აზერბაიჯანელებს შეუთვალა, სანამ არ მოწესრიგდებით, თქვენი კლუბები ევროთასებს ვერ ეღირსებიანო.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფუად მუსაევის აზრით, ეს ყველაფერი ქვეყნის პრეზიდენტის, ჰეიდარ ალიევისა და მისი ვაჟის წამოწყებულია.

აღძრულია რამდენიმე საქმე ფუად მუსაევის წინააღმდეგ. მას გადასახადების დამალვაში სდებენ ბრალს. აზერბაიჯანის შსს-ს თანამშრომლები ჯერ ფედერაციის შენობას დაეცნენ და ყველანაირი საბუთები წაიღეს, მერე გენერალური მდივნის, ზეინალოვის სახლსაც ესტუმრნენ და იქაურობა გადაქექეს, თუმც ვერაფერს მიაგნეს. მუსაევს მიაჩნია, რომ ჰეიდარ ალიევს და მის ვაჟს ფეხბურთის ფედერაციის, როგორც შემოსავლის წყაროს, ხელში ჩაგდება სურთ. ეს კამპანიაც ამიზნით წამოიწყეს, თან ყოველგვარი კანონის გვერდის ავლით. ფუად მუსაევმა ბრძანა, გამორიცხული არ არის, ჩვენი ოფისი რომელიმე მეზობელ ქვეყანაში გადავიტანოთ: „ალვირახსნილობას დასასრული არ უჩანს. თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება თურქეთის რომელიმე ქალაქში გადავიდეთ, ან საქართველოში, კერძოდ, ბათუმში. დარღვევები რომ გვქონდეს, თვითონ ფიფა-უეფა მოითხოვდა ჩვენს ლიკვიდაციას, მაგრამ ისინი არაფერს ითხოვენ და მიაჩნიათ, რომ ეს მხოლოდ ჩვენი შინაური საქმეა. ყველა ბრალდება შეთითხნილია. აბსოლუტურად ყველანაირი გადასახადი გადახდილი გვაქვს, ვიღაცას ფეხბურთის ფედერაციის ხელში ჩაგდება სურს, მაგრამ იოლად არაფერს დავთმობთ. ფედერაციას შენობაში უკანონოდ შემოიჭრნენ, დაამტვრიეს სეიფები, წაიღეს საბუთები. ეს ფაქტი გავასაჩივრეთ, მაგრამ სასამართლომ წაუყრუა, რადგან ისინიც „ზემოდან“ ნაბრძანებს ასრულებენ“.

აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალური წერილიც კი გაამზადა აშშ-ს კონგრესში გასაგზავნად. აშშ-ი იმიტომ, რომ ამჟამად ჰეიდარ ალიევი სწორედ იქ იმყოფება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ახლობლის ცოლს ხელს ნუ ახლებ, იუვენტუსი ჯობიაო

**თეორია,** თითქოს რაიან გიგზმა თავისი საუკეთესო წლები უკან მოიტოვა, მას შემდეგ ამოტივტივდა, რაც 29 წლის უელსელმა ბურთი „არსენალის" ცარიელ კარს გადააცილა, თუმცა ამის გასაქარწყლებად „მანჩესტერ იუნაიტედის" გარემარბს ათიოდ დღე დასჭირდა — „იუვენტუსის" დაცვას ჩაუქროლა და...

ჩაუქროლა და „ინტერზე" აგორებული ლაპარაკიც ჩაკვდა. არადა, 99 პროცენტით მილანშიაო, უკვე ამასაც ამბობდნენ. რაც მთავარია, გიგზისა და „მანჩესტერის" გაყრის მიზეზად არა მისი უფორმობა, არამედ თანაკლუბელებთან გაუარესებული ურთიერთობა, უფრო სწორად კი, სასიყვარულო სამკუთხედი სახელდებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ რაიანის ამჟამად ორსული გელფრენდი სტეისი კუკი ადრე „მანჩესტერის" მოთამაშეთა უმრავლესობის მეგობრის, მავანი დევიდ გარდნერის საცოლე გახლდათ. ჰოდა, „მმაკაცების ძმაკაცის" საცოლის გადაბირება გუნდელებმა არაკაცობაში ჩაუთვალესო, ასეთი ჭორი გავრცელდა. მერე ამ გარდნერმაც გიგზის ყოფილი გელფრენდი დავინია ტეილორი შეიყვარა და ახლად ცოლად მოყვანასაც აპირებს, თანაც მეჯვარეებად თვით დევიდ ბექემი და ფილ ნევილი ჰყავს.

მოკლედ, ერთი შეხედვით დიდი არეული სიტუაციაა, თუმცა მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში ისე არ წვიმს, როგორც ქუხს: ვინ მიეჭრა პირველი მისალოცად გიგზს, როცა ამან „იუვენტუსს" მეორე გოლი გაუტანა? დევიდ ბექემი, უთანხმოებას ფილ ნევილიც უარყოფს: „რაიანი დიდი ფეხბურთელი და კარგი მეგობარია. ვინც ტურინში ჩვენი ზეიმი ნახა, მიხვდება, რომ ამას ალალად ვამბობ".

თავად გიგზი პირად ცხოვრებაზე ლაპარაკს ყოველთვის ერიდება, ამიტომაც გაზეთ „სანისთვის" გუშინ მიცემულ ინტერვიუში მხოლოდ თავის საფეხბურთო მომავალზე საუბრობს: „მანჩესტერში თავს ბედნიერად ვგრძნობ და აქ დარჩენა მსურს. ცხადია, როცა კარგად ვერ თამაშობ, სხვა გუნდში გადასვლაზე ფიქრს იწყებ. მეც ასე მომივიდა, თუმცა ეს რომ ხმამაღლა მეთქვა, „ინტერზე" და სხვა გუნდებზე ისედაც აგორებული ჭორები მეტად გაიზრდებოდა. ახლა ყველაფერი უკან დარჩა და ნაღდად ვიცი, რომ ამ ქალაქში და ამ კლუბში დარჩენა მინდა".

ერთი სიტყვით, გიგზი ჩვეულ ფორმაში ჩადგა და ცუდი აზრებიც თავიდან განდევნა. „თავად ყველაზე უკეთ ვიცი, რომ გულშემატკივრები უკმაყოფილონი იყვნენ. ისინი დიდ ფულს იხდიან და საუკეთესო ფეხბურთის ნახვა სურთ. ალალად გეტყვით, რომ ჩემ თავს ყოველთვის უმაღლეს მოთხოვნებს ვუყენებ და პირველი კრიტიკოსიც მე ვარ. ამჟამად ყველაფერი რიგზეა და ჩვენ 1999 წლის ტრიუმფის გამეორება შეგვიძლია" — აიმედებს ფანობას რაიან გიგზი.

**გიგა ძოგახიძე**




რაიან გიგზს (მარჯვნიდან მეორე), ამ ფოტოდანაც ჩანს, თანაგუნდელებთან კარგი ურთიერთობა აქვს




ბარნელები პრემიერლიგელი „ფულემის" დამარცხებამ ასე გაახარათ

# ის თქვა, რაც უნდა ეთქვა

## ინგლისი

### ასოციაციის თასი 1/8 ფინალი. გადათამაშება

**ბარნსლი 3:0 ფულემი**

1:0 ბ. ტეილორი (27), 2:0 ი. მური (35), 3:0 დიალო (52)

**პირველდივიზიონელი** „ბარნსლი" მთელი ოცი წელი არ გასულიყო ასოციაციის თასის ფინალში და ახლა მოახერხა. საქმე კი იქით მიდის, რომ ეგებ ნახევარფინალშიც ამოჰყოს თავი, რაკი იქამდე მეტოქედ ვიღაც ბობოლა კი არა, თანადივიზიონელი „უოტფორდი" ჰყავს. თუმცა ისიცაა, რომ ინგლისის თასზე ლაპარაკისას გუნდების ძლიერებად და სუსტებად დაყოფა დიდი უაზრობაა. აი, მაგალითიც: მეოთხედფინალისტთა ნახევარი დაბალდივიზიონელია.

სამერვედფინალო გადათამაშებაში „ბარნსლი" იოლად გაუსწორდა „ფულემს". ის ფაქტი, რომ ჟან ტიგინას გუნდმა 72 საათის განმავლობაში მეორე თამაში გამართა, ლუის ბოა მორტე პირველსავე ტაიმში დაემტვრა, მეორეს დასაწყისში კი შონ დევისი გაუგდეს, ეგებ გამოდგეს კიდეც ლონდონელთა გასამართლებელ საბუთად, მაგრამ ბარნელთა მიღწევის დასაკნინებელი ნაღდად ვერ გამოდგება.

„ფულემს" მწირი საგოლე მომენტები ჰქონდა, თუმც ორიოდე მათგანი, სტად მალბრანკისა და შონ დევისისა, გვარიანად სახიფათო იყო და რომ არ გავიდა, მეკარე ბერესფორდის დამსახურებაა. „ბარნსლის" საპირველტაიმო გოლები კი ჭკვიანურ კომბინაციებს მოჰყვა, ხოლო მესამე გოლი კუთხურს.

გამარჯვებულთა მენეჯერმა სტენ ტერნეტმა თქვა, ფანტასტიკურ და სრულიად დამსახურებულ შედეგს მივაღწიეთო. კაცმა რომ თქვას, სხვა, აბა, რა უნდა ეთქვა.

**ირაკლი ნინიძე**

### მეოთხედფინალის წილისყრა

*8 მარტი: არსენალი — ჩელსი*

*9 მარტი: შეფილდ იუნაიტედი — ლიდსი; საუთჰემპტონი — ვულვერჰემპტონი; უოტფორდი — ბარნსლი*

### პირველი დივიზიონი გადადებული მატჩი

**სტოკი 1:0 უოლსოლი**

1:0 ს. მილსი (19)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 33 | 20 | 10 | 3 | 67:32 | 70 |
| ლესტერი | 33 | 20 | 8 | 5 | 56:30 | 68 |
| რედინგი | 33 | 18 | 4 | 11 | 44:31 | 58 |
| ნოტინგემი | 32 | 15 | 9 | 8 | 55:32 | 54 |
| ვულვზი | 33 | 14 | 10 | 9 | 56:36 | 52 |
| შეფილდი | 31 | 15 | 7 | 9 | 45:34 | 52 |
| ნორვიჩი | 32 | 13 | 10 | 9 | 44:31 | 49 |
| როტერჰემი | 33 | 13 | 8 | 12 | 51:46 | 47 |
| უოტფორდი | 33 | 13 | 7 | 13 | 37:49 | 46 |
| იფსვიჩი | 32 | 12 | 9 | 11 | 51:44 | 45 |
| ჯილინგემი | 32 | 12 | 9 | 11 | 41:42 | 45 |
| ბარნლი | 31 | 12 | 8 | 11 | 46:55 | 44 |
| კრ. პალასი | 31 | 10 | 13 | 8 | 43:33 | 43 |
| ქოვენთრი | 33 | 11 | 10 | 12 | 36:37 | 43 |
| მილუოლი | 33 | 12 | 7 | 14 | 39:48 | 43 |
| დერბი | 33 | 12 | 6 | 15 | 42:49 | 42 |
| უიმბლდონი | 31 | 10 | 9 | 12 | 50:54 | 39 |
| პრესტონი | 32 | 9 | 11 | 12 | 47:52 | 38 |
| ბრედფორდი | 32 | 10 | 8 | 14 | 39:52 | 38 |
| უოლსოლი | 33 | 10 | 6 | 17 | 44:51 | 36 |
| ბრაიტონი | 33 | 7 | 8 | 18 | 34:51 | 29 |
| გრიმსბი | 33 | 7 | 8 | 18 | 38:64 | 29 |
| სტოკი | 33 | 6 | 10 | 17 | 35:62 | 28 |
| უენსდი | 33 | 5 | 11 | 17 | 31:56 | 26 |

## Copa Toyota Libertadores '2003

### ლიბერტადორესის თასი 2003

**III ჯგუფი. II ტური**

**ელ ნასიონალი (ეკვადორი) 1:1 ამერიკა (კოლუმბია)**

1:0 გრუესო (48), 1:1 ხოსე მორენო (86)

**IV ჯგუფი. II ტური**

**ხიმნასია (არგენტინა) 5:1 ალიანსა (პერუ)**

1:0 ე. გონსალესი (8), 2:0 ენრია (30), 2:1 ოლკესე 34), 3:1 ლობოსი (40), 4:1 ენრია (42), 5:1 სოსა (44)

**VI ჯგუფი. II ტური**

**უნივერსიტარიო (პერუ) 2:0 ორიენტე პეტროლერო (ბოლივია)**

1:0 არიგასი (30პ), 2:0 უამანი (64)

**VII ჯგუფი. II ტური**

**კოლო კოლო (ჩილე) 1:2 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**

0:1 ა. მორენო (37პ), 1:1 ესპინია (76პ), 1:2 ა. მორენო (89)

## ჰოლანდია

### პირველი დივიზიონი XXII ტური

**უტრეხტი 2:2 ჰერენვენი**

0:1 სიბონი (13), 1:1 შუტი (29), 2:1 კუიტი (35პ), 2:2 ნურმელა (40პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 21 | 17 | 3 | 1 | 53:10 | 54 |
| აიაქსი | 21 | 14 | 5 | 2 | 53:21 | 47 |
| ფეიენოორდი | 21 | 13 | 4 | 4 | 53:25 | 43 |
| ნაიმეგენი | 22 | 10 | 6 | 6 | 28:27 | 36 |
| როდა | 21 | 10 | 5 | 6 | 36:31 | 35 |
| უტრეხტი | 21 | 8 | 8 | 5 | 29:25 | 32 |
| ტილბურგი | 21 | 9 | 4 | 8 | 34:30 | 31 |
| ვალვაიკი | 21 | 9 | 4 | 8 | 22:26 | 31 |
| ბრედა | 21 | 7 | 9 | 5 | 26:20 | 30 |
| ჰერენვენი | 21 | 7 | 7 | 7 | 37:33 | 28 |
| ალკმაარი | 21 | 7 | 4 | 10 | 33:52 | 25 |
| ტვენტე | 21 | 5 | 8 | 8 | 24:32 | 23 |
| როზენდალი | 21 | 6 | 4 | 11 | 23:34 | 22 |
| ვიტესი | 21 | 5 | 5 | 11 | 21:26 | 20 |
| ექსელსიორი | 21 | 4 | 7 | 10 | 24:37 | 19 |
| ზვოლე | 21 | 4 | 4 | 13 | 19:42 | 16 |
| გრონინგენი | 21 | 3 | 5 | 13 | 18:35 | 14 |
| გრააფსხაპი | 20 | 3 | 4 | 13 | 19:46 | 13 |

## პორტუგალია

### თასის მეოთხედფინალის წილისყრა

ლეირია — აკადემიკა; სპორტინგი — ნაციონალი; ფერეირა — სეტუბალი ან კოვილია; პორტუ — ვარზიმი

*მატჩები გაიმართება 9 მარტს*

UAB "Biljardai"
Zeus company
Biljardai
ბილიარდის მაგიდები და აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელების
saluc
Master
კონსულტაციები, გარანტია
ტ. 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.
ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21
ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78
სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# სარბიელი & კროკო
## წარმოგიდგენთ


### გერმანია. ბუნდესლიგა. XXIII ტური

| Time | # | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 18.30 | 002 | კოტბუსი-ბაიერნი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 18.30 | 003 | ლევერკუზენი-ვერდერი | 2,35 | 3,2 | 2.8 | 1,35 | 1,27 | 1.49 |
| 18.30 | 004 | ბოხუმი-ჰანოვერი | 1.8 | 3,3 | 4,0 | 1.16 | 1,24 | 1.8 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-ჰანზა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 006 | მიონხენგლადბახი-შალკე | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 18.30 | 007 | მიუნხენი-კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 008 | ჰამბურგი-ჰერტა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.30 | 009 | არმინია-შტუტგარტი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXIII ტური

| Time | # | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 22.00 | 010 | ბრაუნშვაიგი-ფიურტი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 22.00 | 011 | მაინცი-სტ.პაული | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 22.00 | 012 | ვალდჰოფი-რაიტლინგენი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 22.00 | 013 | აინტრახტი-კარლსრუე | 1.5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 014 | ალენი-ბურგჰაუზენი | 2.1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 18.00 | 015 | ტრიერი-ობერჰაუზენი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.00 | 016 | ალემანია-დუისბურგი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 18.00 | 017 | ლიუბეკი-კიოლნი | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| | | **3 მარტი** | | | | | | |
| 23.15 | 018 | უნიონი-ფრაიბურგი | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXI ტური

| Time | # | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 019 | ოსნაბრიუკი-ლევერკუზენი(მ) | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1.11 | 1,24 | 2,02 |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 17.00 | 020 | კიოლნი(მ)-ვატენშაიდი | 2.6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 17.00 | 021 | ქემნიცი-ფერლი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 17.00 | 022 | უერდინგენი-აუე | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.00 | 023 | პადერბორნი-დორტმუნდი(მ) | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 17.00 | 024 | მიუნსტერი-ესენი | 2.8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 17.00 | 025 | ბაბელსბერგი-კილი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1.52 |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 17.00 | 026 | დინამო-ჰამბურგი(მ) | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1.88 |
| 17.00 | 027 | ვერდერი(მ)-დრეზდენი | 1,55 | 3.6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXIII ტური

| Time | # | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 17.30 | 029 | ზაარბრიუკენი-ნოიკირხენი | 1.1 | 5,0 | 10,0 | 1 | 1 | 3,33 |
| 17.30 | 030 | აინტრახტი(მ)-ვეენი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1.2 | 1,24 | 1,72 |
| 17.30 | 031 | აუგსბურგი-ერფურტი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 17.30 | 033 | კიკერსი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,8 | 3.2 | 4,2 | 1.15 | 1,26 | 1,81 |
| 17.30 | 034 | უნტერჰახინგი-რეგენსბურგი | 1;85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXIX ტური

| Time | # | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 16.30 | 036 | ნიუკასლი-ჩელსი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1.67 |
| 19.00 | 037 | ბლეკბერნი-სიტი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 19.00 | 038 | ფულჰემი-სანდერლენდი | 1,55 | 3.5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 19.00 | 039 | მიდლსბრო-ევერტონი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 040 | საუთჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1,55 | 3.5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 19.00 | 041 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 16.00 | 042 | არსენალი-ჩარლტონი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 043 | არსენალი-ჩარლტონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **3 მარტი** | | | | | | |
| 24.00 | 044 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXXIV ტური

| Time | # | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 048 | როტერჰემი-შეფილდი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 049 | ბრედფორდი-უოლსოლი | 1,85 | 3.1 | 4,2 | 1.15 | 1,28 | 1,78 |
| 19.00 | 050 | ჯილინგემი-ბრაიტონი | 1.65 | 3.4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 051 | გრიმსბი-ქოვენტრი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1.41 |
| 19.00 | 052 | მილუოლი-პორტსმუთი | 3,0 | 3.1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |
| 19.00 | 053 | [illegible]-პრესტონი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 19.00 | 054 | სტოკი-ბერნლი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1.4 | 1,25 | 1.4 |
| 19.00 | 055 | უოტფორდი-ნოტინგემი | 2,45 | 3.1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1.44 |
| 19.00 | 056 | უიმბლდონი-რედინგი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 19.00 | 057 | ვულვერჰემპტონი-კრ. პალასი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 21.35 | 058 | დერბი-ლესტერი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 17.00 | 059 | ნორვიჩი-იპსვიჩი | 2.1 | 3,3 | 3.2 | 1,28 | 1.26 | 1.62 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XXXIV ტური

| Time | # | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 17.00 | 064 | სტოკპორტი-კარდიფი | 3,5 | 3,2 | 2.0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 19.00 | 065 | ბლეკპული-უიკომი | 1.75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 066 | ბრენტფორდი-ტრანმერი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 19.00 | 067 | ბრისტოლი-ჩელტენჰემი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1.04 | 1,23 | 2,33 |
| 19.00 | 068 | კოლჩესტერი-პორტ ვეილი | 2,1 | 3.1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 19.00 | 069 | ქრიუ-პიტერბორო | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2.31 |
| 19.00 | 070 | ჰადერსფილდი-ნორთჰემპტონი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 19.00 | 071 | მენსფილდი-ოლდჰემი | 3,2 | 3,3 | 2,1 | 1,62 | 1,26 | 1,28 |
| 19.00 | 072 | ნოტსი-ლუტონი | 2.6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 19.00 | 073 | პლიმუთი-ბარნსლი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 19.00 | 074 | სუინდონი-ქუინს პარკი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1.44 |
| 19.00 | 075 | უიგანი-ჩესტერფილდი | 1.35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 076 | უიგანი-ჩესტერფილდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXXIV ტური

| Time | # | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 078 | ბერი-ბორნმუთი | 2,25 | 3,1 | 3.1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| 19.00 | 079 | კემბრიჯი-ტორკი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 19.00 | 080 | კარლაილი-ჰალი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 19.00 | 081 | დარლინგტონი-ჰარტლეპული | 3,4 | 3,1 | 2.1 | 1,62 | 1,29 | 1,25 |
| 19.00 | 082 | ექსეტერი-როჩდეილი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 083 | კიდერმინსტერი-სკანთორპი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 084 | ლინკოლნი-ლეიტონი | 1.8 | 3,2 | 4.2 | 1.15 | 1,26 | 1,81 |
| 19.00 | 085 | მაკლსფილდი-საუთენდი | 2,5 | 3,3 | 2,45 | 1,42 | 1,23 | 1,4 |
| 19.00 | 086 | ოქსფორდი-ბოსტონი | 1,7 | 3,3 | 4.8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 19.00 | 087 | რაშდენი-იორკი | 1.8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1.81 |
| 19.00 | 088 | შრუსბერი-[illegible] | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 19.00 | 089 | სუონსი-რექსჰემი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |

### იტალია. სერია "A". XXIII ტური

| Time | # | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 090 | ბრეშა-ბოლონია | 2,3 | 2,7 | 3,4 | 1,24 | 1,37 | 1,5 |
| 23.30 | 091 | პარმა-მოდენა | 1,6 | 3.3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2.12 |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 092 | კიევო-ტორინო | 1.45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 18.00 | 093 | მილანი-ატალანტა | 1,25 | 5.0 | 10.0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 094 | მილანი-ატალანტა 0:1 | 1,65 | 3,3 | 3.3 | | | |
*ეს უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელი ახლა 21 წლისაა. მისი თამაში კი ერთ წელინადზე მეტია, რაც ქართველ გულშემატკივარს არ უნახავს. რა თქმა უნდა, სათვალავში არ უნდა მივიღოთ შარშანდელ ოქტომბერში რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან ხიზანიშვილის თამაში – ის ხომ პირველივე ტაიმში გააძევეს. თანაც ზურაბს მაშინ რთული პერიოდი ჰქონდა – ტრავმიდან სარეაბილიტაციო პროცესის დაუმთავრებლობის გამო ჯერაც არ თამაშობდა კლუბში.*

*ამ დროისთვის კი ხიზანიშვილი „დანდის“ კვლავაც ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა*



**— „დანდიში“ გატარებულმა წლებმა, როგორც ახალგაზრდა ფეხბურთელს რა შეგძინა?**

— პირველ რიგში ის, რომ ევროპაში ვთამაშობ. შოტლანდიაში ყოველი მატჩი ნამდვილი ბრძოლაა. აქ გავიგე, თუ რა არის დიდი ფეხბურთი. შოტლანდიის ჩემპიონატი კარგი გუნდებითაა დაკომპლექტებული, რომლებშიც ჩინებული ფეხბურთელები თამაშობენ.

**— დღევანდელი გადასახედიდან როგორ ფიქრობ — მაშინ, სამი წლის წინ „არსენალში“ რომ გადასულიყავი, ეს სწორი, დროული ნაბიჯი იქნებოდა? საქმეს თავს გაართმევდი?**

— არც კი მინდა „არსენალში“ ჩემი ათდღიანი ყოფნა გავიხსენო. მაშინ ყველაფერი კარგად წამივიდა, „არსენალის“ მეორე გუნდშიც ვითამაშე, მაგრამ... მაშინ 18 წლის ვიყავი და „არსენალის“ ძირითადში უცბად ნაღდად ვერ მოვხვდებოდი, თუმც ჩემი „არსენალში“ გადასვლა ნაადრევი ნამდვილად არ იქნებოდა — ამ დროისთვის უკვე შევძლებდი „არსენალის“ ძირითადში თამაშს.

**— ტრავმის გამო, ფაქტობრივად, წელიწადი გაგიცდა. ამან შენს კარიერაზე და დღევანდელ სპორტულ კონდიციებზე ძალიან უარყოფითად იმოქმედა?**

— ტრავმა შარშანწინ დეკემბერში მივიღე „სელტიკთან“ მატჩში და „დანდის“ ძირითადს შარშანდელს დეკემბერში დავუბრუნდი იმავ „სელტიკთან“ მატჩისთვის — აი, ასეთი თავისებური დამთხვევა გამოვიდა. ძალიან მინდოდა, რომ ამ ერთწლიან იძულებით შესვენებას ჩემზე არ ემოქმედა და ჩემმა პროფესიონალიზმმა და ხასიათმა ყველაფერი კარგად გადამატანინა. უკვე სრულ მზადყოფნაში ვარ, მთელ 90 წუთს უპრობლემოდ ვუძლებ, თუმც დაზიანებული ფეხისთვის კვლავაც სპეციალურ ვარჯიშებს ვაკეთებ.

**— „დანდის“ დაცვაში რა პოზიციაზე თამაშობ?**

— „დანდი“ ხაზზე განლაგებული ოთხი მცველით თამაშობს. მე ცენტრში, ოდნავ მარცხნივ მიწევს თამაში. შეტევაშიც მივდივარ. მწვრთნელის დავალებაცაა, რომ კუთხურების დროს მეტოქის საჯარიმოში ჩავიდე. ყველანაირად ვცდილობ, მხოლოდ დაცვით არ შემოვიფარგლო და შევუტიო. ასეც უნდა იყოს — 21 წლის ფეხბურთელი ბევრს ისწავლის შეტევაში ჩართვებით.

**— შენი თამაში, ფაქტობრივად, ერთი წელია, რაც არ გვინახავს. ისევ ისეთი, ტექნიკური სტილის ფეხბურთელი ხარ, თუ უფრო სხვა თვისებებით გამოირჩევი?**

— ისევ იმ სტილის მოთამაშე ვარ, ტექნიკას ვერ ვუღალატებ. თუმც ზოგადად, რასაც ჰქვია ტექნიკური ფეხბურთელი, ეს ცოტა სხვა რამეა — მე ასეთი არ ვარ. მაგრამ, ასე ვთქვათ, ბურთის გრძნობა ყოველთვის მქონდა. თუ ბავშვს ბურთის გრძნობა დანათლებული აქვს, ის 70 პროცენტი კარგი ფეხბურთელი გამოვა.

**— სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში თუ კლუბებში საყრდენადაც გითამაშია — ნახევარმცველობა მცველობას არ გირჩევნია.**

— საყრდენ ნახევარმცველად „დანდიშიც“ მაქვს ნათამაშევი. მიმაჩნია, რომ ეს პოზიციაც და მცველობაც, ჩემთვის ორივე კარგი ამპლუაა.

**— „დანდის“ მენეჯერი ჯიმ დაფი შოტლანდიაში იანვრის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. მისი ხელმძღვანელობით გუნდი მართლა უკეთ ათამაშდა. რისი წყალობით შესძლო ეს დაფიმ?**

— დაფიმ ახალი ფეხბურთელები მოიყვანა გუნდში. ისინი დიდი ვარსკვლავები არიან, მაგრამ გუნდს ძალიან გამოადგნენ. პირველ რიგში ეს ნაჩო ნოვოზე და სტივ ლოველზე ითქმის. გარდა ამისა, დაფიმ განსაკუთრებული დისციპლინის ხარჯზეც მიაღწია კარგ შედეგებს — ზოგი ისეთი მატჩი მოვიგეთ, რომ ამას თვითონ მწვრთნელიც ვერ წარმოიდგენდა. თითოეულ თამაშს ძალიან დიდი ენერგია მიაქვს, მაგრამ დაფის ხელში ბოლო ათ დღეში სამი თამაშიდან ორი მოვიგეთ და ერთი ფრე გავახერხეთ.

**— ყველაფერ ამის შემდეგ ეროვნულ ნაკრებში გამოძახებას არ ელი ირლანდია-შვეიცარიასთან?**

— თუ გამომიძახებენ, დიდი სიხარულით ჩამოვალ, თუმც რუსეთთან გაძევების გამო ირლანდიასთან არც ეროვნულ ნაკრებში მაქვს თამაშის უფლება.

**— თუ ისე მოხდა, რომ ალექსანდრე ჩივაძემ არ გამოგიძახა, მაგრამ ახალგაზრდულ ნაკრებში გიხმეს...**

— მე ის კაცი არ ვარ, რომ რახან ეროვნულში არ გამომიძახეს, ახალგაზრდულში თამაშზე უარი ვთქვა. თანაც ძალიან მაინტერესებს რევაზ არველაძესთან მუშაობა — მასთან ერთად ერთხელ ეროვნულ ნაკრებშიც კი მითამაშია.

**— დანდიში შენი დღის რეჟიმი როგორია?**

— კვირის გარდა ყოველთვის დილის ცხრა საათზე ვდგები, თერთმეტის ნახევარზე კი ვარჯიშია. მერე მე და გიორგი ნემსაძე ხან აუზზე მივდივართ, ხან კინოში, ან სადმე სხვაგან. ისე კი, მარტო ცხოვრება ძნელია, თუმც ჩემები ხანდახან ჩამოდიან ხოლმე.

**— ნემსაძის გარდა სხვა დანდელებთან არ მეგობრობ?**

— როგორ არა, ჩემი თაობის ყველა ფეხბურთელთან ვმეგობრობ, განსაკუთრებით ესპანელ ხოსა ერნანდესთან — ის უცოლოა და საერთო ენა გამოვნახეთ.

**— დანდიში საცოლე ან მეგობარი გოგონა არ გყავს?**

— ცოლის მოყვანაზე ჯერ არც ვფიქრობ, მეგობარი გოგონები კი არიან.

**— „დანდის“ თამაშებზე მანდილოსნები ბლომად დადიან?**

— როგორ არა, თამაშებზე გოგონებიც დადიან და უფრო ასაკოვანი ქალბატონებიც.

**— დანდელი გოგონები, ალბათ, კარგადაც გიცნობენ...**

— რა თქმა უნდა. თუ თავისუფალ დროს სადმე გასართობ ადგილას წახვალ და იქ გიცნეს, ჯობს იქიდან წამოხვიდე. მაგრამ ისიცაა, რომ როცა გცნობენ, გსიამოვნებს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ბოლო თამაში მოგებული გაქვს.

**— შოტლანდიელ გოგონებს ქართველებთან როგორ შეადარებდი?**

— ასეთ შედარებას მე არც კი გავაკეთებ. იმიტომ კი არა, რომ ქართველი ვარ და ყველას ქართველები მირჩევნია. იტალიაშიც ვიყავი და შოტლანდიის მსგავსად კარგი ქალები იქაც არიან, მაგრამ ქართველი მაინც სულ სხვაა. ქართველ გოგონებს ურთიერთობების ამბავში, ვერავინ შეედრება. შოტლანდიელმა გოგონებმა დიდი ყურადღება და სითბო არ იციან. საქართველოში ჩვენ მაინც უფრო იმას ვცდილობთ, რომ ერთმანეთს ვასიამოვნოთ, ყურადღება და სითბო არ მოვაკლოთ. შოტლანდიელი ქალები კი უფრო საკუთარი თავისთვის არიან კარგები, ვიდრე სხვისთვის.



ზურაბ ხიზანიშვილი (მარცხნივ) შეტევაშიც ყოჩაღობს

**დავით თავართქილაძე**



დღეს „ლოკომოტივის“ სტადიონზე დიდი თავყრილობაა. ამ შეხვედრაზე ჰკიდია ეროვნული ნაკრების საგაზაფხულო ევროშესარჩევი მატჩების ბედი — ირლანდიელთა ჩამოსვლამდე ერთი თვით ადრე ჯერაც გაურკვეველია, თუ სად ვუმასპინძლებთ მეტოქეებს.

„ლოკომოტივზე“ დღეს საგანგებო კომისია იმსჯელებს, ფედერაციისა და რკინიგზის წარმომადგენლებს მოუსმენს და გადაწყვეტილებასაც ამის შემდეგ მიიღებს. მაგრამ საფეხბურთო და სახელმწიფო ჩინოსნებისგან შემდგარმა კომისიამ სტადიონი იდეალურადაც რომ მიიჩნიოს და მასზე საერთაშორისო მატჩების ჩატარებაზე დასტური თქვას, არაფერიც არ გადაწყდება, თუკი ფედერაცია და რკინიგზა ვერ შეთანხმდნენ



# ფედერაციამ ნაკრები გააპროცენტა

## ჩოლარიამ ლოკომოტივი დააპროექტა და ჩხაიძეს გაუგზავნა

თითქმის ორი თვეა, სფფ-მ და რკინიგზის დეპარტამენტმა ვერაფრით შეუწყვეს ხმა ერთმანეთს. ლოკომოტიველებზე უფრო სფფ ცდილობს, ამ ხნის მანძილზე მომავალი ურთიერთობის არაერთი ვარიანტი წარუდგინა ჩხაიძეს და მის გუნდს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ, მაგრამ რკინიგზელები გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობდნენ. ჩხაიძეს და ჩოლარიას ხშირ შეხვედრებს კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია. ჩოლარიამ გუშინ პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო — მოამზადა ხელშეკრულების პროექტი და სააპელაციო კომიტეტის წევრ რევაზ შენგელიას ხელით რკინიგზელებს აახლა.

შენგელია გუშინ აკაკი ჩხაიძის მოადგილეს, ტარიელ ღვაბერიძეს შეხვდა.

ხელშეკრულების პროექტი ღვაბერიძეს გადავეცი, დღეს მას აკაკი ჩხაიძე გაეცნობა და ხვალ ალბათ, ხელმოწერითაც დაადასტურებს შეთანხმებას — გვითხრა რევაზ შენგელიამ.

ფედერაციის პროექტი ასეთია — სფფ ევროშესარჩევის უახლოესი სამივე მატჩის ორგანიზაციას „ლოკომოტივის“ სტადიონის ადმინისტრაციას სთავაზობს. ამ მატჩებიდან მიღებული მილიან შემოსავალს „ლოკომოტივი“ მიიღებს და ბილეთების გაყიდვით მიღებული შემოსავლიდან ფიქსირებულ თანხას გადასცემს სფფ-ს.

ამ თანხაზე კონკრეტულად გუშინ ხელშეკრულების პროექტის მიმღებ ტარიელ ღვაბერიძესაც არ უსაუბრია, თუმცა რკინიგზელები რომ კიდევ ორჭოფობენ, ეს ტარიელ ღვაბერიძის ნათქვამიდანაც ჩანს.

— სფფ-მ ხელშეკრულების პროექტი გამოგვიგზავნა. ის სამივე მატჩის ორგანიზაციას გვთავაზობს. ფედერაციის წინადადებით, შემოსავალიც ჩვენი იქნება, სფფ კი კონკრეტულ პროცენტს მიიღებს. ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით, ხვალ გაირკვევა ყველაფერი. იმის თქმა კი შემიძლია, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, სარუსეთო 200-ათასიან ზარალს სფფ, რკინიგზის დეპარტამენტი და თელასი თანაბრად გაიყოფენ. ფედერაციის მიერ შემოთავაზებულ ხელშეკრულების პროექტს დღეს აკაკი ჩხაიძე გაეცნობა, განვიხილავთ და სათქმელს ხვალინდელ შეხვედრაზე ვიტყვით — გვითხრა ღვაბერიძემ.

ვალერი ჩოლარიას კი რკინიგზელთა მხრიდან ალტერნატიული წინადადების მოსმენაც არ სურს.

— ეს ხელშეკრულება ორივე მხარისთვის მისაღებია და ლოკომოტიველები ვალდებულნი არიან, ჩვენი წინადადება მიიღონ. მათ უნდა მოაწერონ ხელი ხელშეკრულებას, თუ არადა ყველაფერს ფედერაცია მიხედავს დამოუკიდებლად. მომავალი მატჩების ორგანიზებას ერთ თვეში მოვასწრებთ — განაცხადა ვალერი ჩოლარიამ.

ასე რომ, დღეს „ლოკომოტივის“ სტადიონზე ბევრი რამ არის გადასაწყვეტი.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ სტადიონი გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შუქრი წინწკალაშვილმა მოინახულა. ძალოვანმა სამთავრობო ლოჟა, ტრიბუნები, საშხაპე-გასახდელები, სტადიონზე მისასვლელი გზები დაათვალიერა და კმაყოფილი დარჩა. ჩემს დასკვნას ხვალინდელ კომისიას წარვუდგენ ოფიციალურადო, დაუბარა მინისტრის მოადგილემ სტადიონის დირექციას.

**ბაატა ქვანტალიანი**



# ფეხბურთელობიდან მწვრთნელობისკენ პოლიტიკის გავლით

*33 წლის ვეტერანი ზურაბ ხორგუაშვილი „დილას“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მისი სამწვრთნელო დებიუტი გუშინწინდელ სათასო მატჩში შედგა. ხორგუაშვილის დამოძღვრილმა გორელებმა უწვერულ ვეტერინარებს 3:0 მოუგეს. მას აქეთ უკან დარჩა სანუკვარი ათნომრიანი მაისურა და თითქმის თხუთმეტწლიანი საფეხბურთო კარიერა.*

*სადღეისოდ ზურაბი ახალბედა მწვრთნელი და დამწყები პოლიტიკოსია, გორის საკრებულოში „ახლების“ სიით მივიდა. ხორგუაშვილი ამ ორი საქმის შეთავსებას და „დილას“ კრიზისიდან გამოყვანას აპირებს, თუმც როგორ მოახერხებს ამას, თავად მოგიყვებათ*



— არა მგონია, საკრებულოში ყოფნამ გუნდის გაწვრთნაში ხელი შემიშალოს. თანაც იქ დიდად დატვირთული არ ვარ და „დილასთვის“ საკმარისი დრო დამრჩება. ისე, პოლიტიკა და ფეხბურთი რაღაცით ჰგვანან კიდეც ერთმანეთს. ორივე სფეროში ამბიციები მძლავრობს, დიდია ვნებათაღელვა და რაც დრო გადის, აზარტში შედიხარ. ერთხელ რომ გაიმარჯვებ მერე დამარცხებას ძნელად შეეგუები.

**— წაგება ფეხბურთში უფრო მტკივნეულია თუ პოლიტიკაში?**

— რა თქმა უნდა, პოლიტიკაში. ფეხბურთში თვეში რამდენიმე შანსი გეძლევა და გამარჯვებაც ხშირად შეგიძლია დააგემოვნო, არჩევნები კი ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება.

**— გადაწყვიტეთ სამწვრთნელო საქმეს ხელი სერიოზულად მოჰკიდოთ?**

— არ არის გამორიცხული, ჩემგან არც მწვრთნელი დადგეს და არც პოლიტიკოსი. არც ის ვიცი, საით წამიყვანს ბედისწერა, მაგრამ სადაც არ უნდა ვიყო, „დილასთვის“ მუდამ მაქსიმუმს გავიღებ.

**— სპეციალისტების აზრით, უფრო მაღალ დონეზე უნდა გეთამაშათ, თითქოს ხანგრძლივი კარიერაც გამოგივიდათ, ბურთი საქართველოს გარეთაც გიგორებიათ, მაგრამ მაინც გორელების საყვარელი მოთამაშედ დარჩით.**

— მთელი კარიერის მანძილზე იღბალი მღალატობდა. გაუთავებელმა ტრავმებმაც გამაწამა და საუკეთესო წლებიც თვალსა და ხელს შუა გამიფრინდა.

**— იქნებ ცდა თქვენც დააკელით.**

— ვინც მიცნობს, იცის, რეჟიმის დარღვევა არ მჩვევია. დილა ისე არ გათენებულა, სავარჯიშოდ არ გავსულიყავი. რასაც მივაღწიე, ეტყობა, იმაზე მეტი არ დამიმსახურებია.

**— მწვრთნელობასთან ერთად ხომ შეიძლება ფორვარდობაც შეითავსოთ?**

— ეგ საქმე არ გამოვა. თამაშში გართული ჩემი გუნდის ხარვეზებს ვერ შევამჩნევ. ზოგჯერ იქნებ მოედანზე გაჭრაც მომინდეს, მაგრამ „პენსიაზე“ გასვლას უკვე თითქმის შევეგუე.

**— როგორ გგონიათ, ბოლო წლებში „დილას“ რატომ გაუჭირდა?**

— რაღაც მომენტში თავდაჯერება დავკარგეთ. ის გორული ჟინი, რაც ყველასგან გამოგვარჩევდა, ერთ დღესაც სადღაც გაქრა. გვეგონა, ფონს იოლად გავიდოდით, ხოლო საშიშროების წინაშე რომ დავდექით, უკვე გვიანი იყო, უმაღლეს ლიგას დავემშვიდობეთ და ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიხდა.

**— „დილას“ სადღეისოდაც არ ულხინს, ისევ საშიშ ზონაშია. იქიდან პირველ ლიგამდე კი ნაბიჯიღაა დარჩენილი.**

— გამორიცხულია, „დილა“ უმაღლესი ლიგიდან მეორედ გავარდეს.

**— თავდაჯერებული ტონია, მაგრამ მაინც რისი და ვისი გეიმედებათ?**

— თითქმის ერთი კვირაა, გუნდი ჩავიბარე და ბიჭების მზადყოფნით კმაყოფილი ვარ. ადგილობრივებს კარგად მომზადებული ოთხი რკინიგზელი — გილაური, არუდაშვილი, მორჩილაძე და მუშკუდიანიც დაემატა. „ლოკომოტივიდან“ იჯარის წესით გადმობირებულმა მოთამაშეებმა ჩინებული უცხოური შეკრებაც გაიარეს და „დილას“ აშკარად მოაღონიერებენ. მათ გარდა ფეხბურთში როინ მარლიშვილიც დავაბრუნეთ, რომლის გამოცდილებაც სასიკეთოდ წაგვადგება.

**— მაგრამ როინს ხომ დიდი ხანია არ უთამაშია?**

— მას ჩემზე უკეთ არავინ იცნობს. თამაში ჯერაც შეუძლია და ამ ხნის მანძილზე მთლად უმოქმედოდაც არ ყოფილა.

**— კლუბის ხელმძღვანელებმა რა მიზანიც დაგისახეს, გასაგებია. „დილამ“ უმაღლეს ლიგაში ადგილი უნდა შეინარჩუნოს. საპასუხოდ მათ რა პირობები წაუყენეთ?**

— რაც მოვითხოვე, ყველაფერზე დასტური მომცეს. იმას მტკიცება რად უნდა, რომ ფეხბურთელს ხელფასი, კვება, ჩაცმა-დახურვა და თამაშებზე შედარებით კომფორტულად გამგზავრება სჭირდება. შეიძლება ჩვენ თავზე არ გადაგვდის, მაგრამ არც უპირობობას ვუჩივით. კარგა ხანია, „დილას“ მსგავსი მოვლა-პატრონობა არ ღირსებია.

**მამუკა ქვანტალიანი**

# დავით ყიფიანის თასი

**მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები**

თერჯოლა. ცენტრალური. 28 თებერვალი. 14.00 საათი
**სამგურალი — ტორპედო (1:5)**

საჩხერე. ცენტრალური. 28 თებერვალი. 14.00 საათი
**ჩიხურა — ვიტ ჯორჯია (1:7)**

გურჯაანი. დავით ყიფიანი. 28 თებერვალი. 14.00 საათი
**ალაზანი — სიონი (1:7)**

თბილისი. ლოკომოტივი. 28 თებერვალი. 14.00 საათი
**სპარტაკი — გორდა (3:0)**

თბილისი. სინათლე. 28 თებერვალი. 14.00 საათი
**დინამოელი — მილანი (0:1)**

თბილისი. დერბის სკოლა. 28 თებერვალი. 14.00 საათი
**ჭაბუკთა ნაკრები — ცხინვალი (1:1)**

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 28 თებერვალი. 14.00 საათი
**გურია — ლაზიკა (2:1)**

ქობულეთი. ცენტრალური. 28 თებერვალი. 14.00 საათი
**ქობულეთი — მეტალურგი (3:0)**

ხაშური. გივი ჯომართიძე. 28 თებერვალი. 14.00 საათი
**ივერია — დინამო 2 (1:2)**

მცხეთა. არმაზი. 28 თებერვალი. 14.00 საათი
**თსუ — ლოკომოტივი (0:1)**

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე. 28 თებერვალი. 14.00 საათი
**სამტრედია — კოლხეთი (0:6)**

ფოთი. ფაზისი. 1 მარტი. 14.00 საათი
**კოლხეთი 2 — მერცხალი (1:5)**

თბილისი. საწვრთნელი ბაზა. 1 მარტი. 14.00 საათი
**ლოკომოტივი 2 — მერანი-ოლიმპი (0:1)**

თბილისი. ეროვნული. 1 მარტი. 14.00 საათი
**დინამო — მცხეთა (3:0)**

მცხეთა. არმაზი. 1 მარტი. 14.00 საათი
**ვიტ ჯორჯია 2 — დილა (0:3)**

ხობი. ცენტრალური. 1 მარტი. 14.00 საათი
**ხობი — ბათუმი (1:4)**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ვლადიმერ სტეფანიამ ტრაქტორი დაშალა



სტეფანიამ სანაქებოდ იბურთავა, მაგრამ რა...

— 26 თებერვალი —

**დენვერი 84:95 პორტლენდი**

**დენვერი:** ჰარინგტონი (12 ქულა, 13 მოხსნა), იაბრო (7), ჰოვარდი (26), ბოუენი, ილარიო (12); ჰარვი (22), უილიამსი, ანდერსენი (5), კემბი, **ცქიტიშვილი** (4 წუთი, 0 ქულა)

**პორტლენდი:** მაკინისი (7), ანდერსონი (2), უოლესი (10), უელსი (14), დევისი (8), რენდოლფი (11), პატერსონი (15), დენიელსი (15), სტუდემაიერი (10), ვუდსი (2), საბონისი

**ნიუ ორლეანი 91:82 მაიამი**

**ნიუ ორლეანი:** უესლი (12), ლინჩი (6), მაშბურნი (18 ქულა, 13 მოხსნა, 13 პასი), ბრაუნი (16), მაგლუა (14); ანდერსონი (8), ალექსანდერი (13), ტრეილორი, მოისო (4), პეკი

**მაიამი:** ბუტჩი (17), ჯონსი (14), ალენი (4), რ. ბატლერი (2), გრანტი (24 ქულა, 15 მოხსნა); **სტეფანია** (27 წუთი, 12 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება), ჰაუსი (4), ლემბლი (6)

ნბა საკმარისად კანონზომიერი ლიგაა, ანუ იქ სუსტი იშვიათად თუ მოერევა ძლიერს, მაგრამ არსებობენ ერთმანეთისთვის უხერხული წყვილები, რომელთა შორისაც კლასში სხვაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. არაერთი ასეთი წყვილის გამოყოფა შეიძლება, თუმცა ამჯერად უსახურ „დენვერსა" და შემძლე „პორტლენდის" დაპირისპირებაზე ვიტყვით, რომლებიც გუშინწინ „ნაგიტსის" ველზე „პეპსი სენთერში" შეებნენ ერთმანეთს.

ნიკა ცქიტიშვილის „დენვერი" ლიგის უსუსტესთაგანია, მაგრამ რატომღაც ისე ხდება, რომ დასავლეთის წონიანი „პორტლენდი" გაწამებული ჰყავს. „პორტლენდი" ერთ-ერთია იმ ორი გუნდიდან, რომელიც სეზონში „ნაგიტსს" ორჯერ დაუმარცხებია. ამ გუნდების დენვერულ მატჩებში კი 1999 წლიდან მოყოლებული გამარჯვებული ყოველთვის მასპინძელი გამოდიოდა.

გუშინწინდელმა შეხვედრამაც გვარიან ბრძოლაში ჩაიარა. ბოლო წუთებამდე ვერავინ დაიჯერებდა, რომ მეტოქეთა შორის უდიდესი სხვაობა იყო კლასში, თუმცა გაყოყოჩებულ „დენვერს" გადამწყვეტ მომენტში ძლიერი გუნდის ნიღაბი ჩამოეხსნა და დაეშვა მიწაზე. სადაც ათმარცხიან სერიას გაუსწორა თვალი.

სამწუხაროდ, ნიკა ცქიტიშვილმა ვერაფრით გამოიჩინა თავი „დენვერისთვის" ამ „საამაყო" მატჩში. ქართველს 4 წუთი ებოძა სიტყვის სათქმელად, მაგრამ ვერაფერს გამორჩა, როცა დენვერელთა სხვა ახალბედებმა თავი ისახელეს. „ნაგიტსის" ახალგაზრდა გამთამაშებელმა ლორინზა ჰარინგტონმა კარიერის პირველი ორმაგი დუბლი მიითვალა. ჰარინგტონს მხარს კარგად უბამდა ცქიტიშვილის მეგობარი და ხუთეულში უკვე მყარად დაფუძნებული ნენე ილარიო. „დენვერის" კინკილა ვარსკვლავი კი, თუ უკვე აღარც ვარსკვლავი ჯუან ჰოვარდი ჩვეულად მარიფათობდა და მასპინძლებმა ერთხანს 13-ქულიანი ლიდერობაც კი მოიპოვეს. დენვერულები მესამე პერიოდშიც იგებდნენ, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა ამ მატჩში პორტლენდელთა სათადარიგოებს ეკუთვნოდათ. რუბენ პატერსონმა იმ საღამოს მოგროვებული 15 ქულიდან 10 ბოლო მეოთხედში მოიგროვა, სამქულიანების იშტა გაეხსნა ანტონიო დენიელსსაც და „პორტლენდმა" საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე მეორე მეოთხედში დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა. დარჩენილ წუთებში „დენვერი" ჩვეულებრივი „დენვერი" იყო და არა მანამდელი, მეპლეიოფესავით მებრძოლი გუნდი.

წაგებული მატჩის შემდეგ თუ საერთოდ შესაძლებელია გუნდის შექება, ამას ვლადიმერ სტეფანიას „მაიამი" იმსახურებს. პატ რაილის სამწყსო ნიუ ორლეანში თამაშობდა, საიდანაც ამ სეზონში მხოლოდ რჩეულნი თუ წამოსულან თავაწეულნი. მაიამელებმა ღირსეულად ითამაშეს მატჩი, რომელშიც „ჰორნეტსის" ნაოლსტარულმა ლიდერმა ჯამალ მაშბურნმა სამმაგი დუბლი გამოჭედა. სტუმართაგან თავი ისახელა სტეფანიას პოზიციაზე მოთამაშე ბრაიან გრანტმა, რომელმაც 24 ქულითა და 15 მოხსნით სასეზონო პიკს უწია. საერთოდაც „მაიამის" ამ მატჩში ნაკლები პრობლემები ჰქონდა ფარქეტში, რამეთუ ჩვენებური ცენტრიც არ იყო ურიგო. სტეფანიამ 27 წუთში მოგროვებულ 12 ქულას 8 მოხსნა მიაყოლა. ვოვამ ჩაჭრაც მიითვალა და ქონბელი „ნიუ ორლეანის" გიდორია ცენტრს, „ტრაქტორად" წოდებულ რობერტ ტრეილორსაც მიაყარა. სამწუხაროა, რომ მებრძოლ მაიამელებს ზედიზედ მეორე წაგება დაეჩრდილებოდათ.

# ეჰ, სიბერეში ბურთი მძიმდება

## რეჯი მილერი ამას თვალდახუჭული აკეთებდა

**ბოსტონი 71:69 ინდიანა**

**ბოსტონი:** უოლკერი (18), პირსი (16)

**ინდიანა:** ონილი (31 ქულა, 13 მოხსნა)

**ფილადელფია 111:107 მემფისი**

**ფილადელფია:** აივერსონი (34), სნოუ (22 ქულა, 10 მოხსნა, 11 პასი)

**მემფისი:** გასოლი (32), უილიამსი (19)

**მილუოკი 112:118 ფინიქსი**

**მილუოკი:** პეიტონი (26), კასელი (24), კუკოჩი (23)

**ფინიქსი:** მარბერი (41), ჯონსონი (20)

**მინესოტა 92:85 იუტა**

**მინესოტა:** გარნეტი (24 ქულა, 17 მოხსნა), ნესტეროვიჩი (14)

**იუტა:** მელოუნი (19), ჰარპრინგი (14)

**ნიუ ჯერსი 105:76 ნიუ იორკი**

**ნიუ ჯერსი:** კიდი (21), ჯეფერსონი (17)

**ნიუ იორკი:** სპრიუელი (13)

**სიეტლი 93:76 ატლანტა**

**სიეტლი:** ალენი (21 ქულა, 9 პასი), ლუისი (16)

**ატლანტა:** აბდურ-რაჰიმი (19), რობინსონი (15)

**კლიპერსი 94:108 გოლდენ სტეიტი**

**კლიპერსი:** პიატკოვსკი (17), ოდომი (16)

**გოლდენ სტეიტი:** არენასი (18), ჯემისონი (18)

**ჩიკაგო 103:95 ტორონტო**

**ჩიკაგო:** როუზი (26), კარი (24)

**ტორონტო:** ლენარდი (20), კარტერი (19)

„იყო დრო, რეჯი მილერი ათი ასეთი სროლიდან ცხრას, ხანდახან ათივესაც აგდებდა, მაგრამ ახლა სხვა ვითარებაა" — თქვა „ინდიანას" დამწუხრებულმა მწვრთნელმა აიზია ტომასმა ბოსტონში მარცხის შემდეგ.

მართლაცდა, მილერს მატჩის ბოლო წამზე ბოსტონელთა დაშამათების კანფეტივით შანსი ებოძა. პერიმეტრზე უყურადღებოდ დარჩენილმა სამქულიანების ყველა დროის უდიდესმა ოსტატმა თავის ერთ დროს მომაკვდინებელი სროლით ვერაფერი ავნო „კელტებს" და „ინდიანას" უიღბლო სერიაც ექვს მატჩამდე გაიზარდა.

ინდიანელთა მარცხში მხოლოდ მილერის დადანაშაულება უსამართლო იქნება. მატჩის დასრულებამდე 10 წამით ადრე „პეისერსი" ორ ქულას აგებდა და ოლსტარელმა ჯერმენ ონილმა, რომელსაც მანამდე მიყოლებით 7 საჯარიმო ჩაეგდო, ორი ერთქულიანი სროლა გააცუდა. „არა აქვს მნიშვნელობა, მანამდე რა იყო. ასი საჯარიმო რომც ჩამეგდო, ბოლო ორის აცილების უფლება არ მქონდა. დამარცხებაში მილერზე ნაკლები ბრალი როდი მიმიძღვის" — ალალად აღიარა ონილმა.

გამარჯვების გზაზეა შემდგარი „ფილადელფია". ალენ აივერსონის გუნდს გუშინწინ დიდი ვერაფერი მეტოქე, „მემფის გრიზლისი" სტუმრობდა, მაგრამ მოგება მოგებაა და განსაკუთრებით გასახარია, თუ ის ზედიზედ მეშვიდეა (ცხადია, მეტი და მეტი ჯობს).

ფილადელფიელთა გამარჯვებაში ლომის წილის უდევს 34 ქულისა და 9 შედეგიანი გადაცემის მიმთვლელ ჭინკა აივერსონს, თუმცა „სიქსერზის" გამთამაშებლის უხვქულიანობას ნაჩვევნი ერიკ სნოუს სამმაგ დუბლს უფრო გამოვარჩევთ. რვაწლიანი სტაჟის მქონე სნოუსთვის ეს პირველი შემთხვევაა, როცა სათამაშო მაჩვენებელთაგან სამში ორციფრიანი შედეგი უჩვენა. 22 ქულასა და 10 მოხსნას ერიკმა 11 შედეგიანი გადაცემაც დაურთო და „ფილადელფიამ" 111:107 მოუგო „მემფისს".

ახლა განსაკუთრებულად გამოცოცხლებულან დასავლელი ბობოლები და მათ შორის „მინესოტაც". მაღაამრული „მგლები" ყველა დამხვდურს გზიდან იშორებენ. მათი მორიგი ლუკმა გახდა შორეულ სოლტ ლეიკ სიტიდან მინეაპოლისში ჩახეტებული „იუტა". ბებერი ჯონ სტოქტონითა და კარლ მელოუნით შეგულიანებული „ჯაზმენები" ერთხანს ტოლ-სწორად ებულრავნენ მინესოტელებს, თუმცა სისხლსავსე კევინ გარნეტის მიძალებას ველარ გაუძლეს და ბოლო ორ წუთში დანებდნენ. ვინ იყოჩაღებდა, თუ არა გარნეტ-შჩერბიაკის ტანდემი. პირველმა ჩაჭრა და ორქულიანი მიითვალა, მეორემ კი სამქულიანით ყელი გამოსჭრა მორმონებს.

გერი პეიტონში გაცვლილმა რეი ალენმა ახალი სიო დაჰბერა „სიეტლში". „ზებგერითები" მისი მისვლის შემდეგ წამოწყებულ მოგებათა სერიას აგრძელებენ. ამჯერად სიეტლელებს ატლანტელი „ქორები" შემოემარცხათ და გადამწყვეტი სიტყვა ამჯერადაც ალენს ეკუთვნის. მასსავით 21 ქულისა და 9 პასის მითვლა ერთმა „სონიკმაც" ვერ მოახერხა, თუმცა ამაზე არც არავინ დაბოლმილა, „სიეტლმა" ხომ მოგებათა გემო გაიხსენა.



მგელზე უფრო მგელი კევინ გარნეტი

REUTERS

**ირაკლი კერტაია**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 38 | 21 | 64,4 |
| ფილადელფია | 32 | 24 | 57,1 |
| ბოსტონი | 32 | 25 | 56,1 |
| ორლანდო | 29 | 29 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 27 | 29 | 48,2 |
| ნიუ იორკი | 24 | 33 | 42,1 |
| მაიამი | 19 | 38 | 33,3 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| დეტროიტი | 37 | 20 | 64,9 |
| ინდიანა | 37 | 21 | 63,8 |
| ნიუ ორლეანი | 32 | 27 | 54,2 |
| მილუოკი | 28 | 29 | 49,1 |
| ატლანტა | 21 | 37 | 36,2 |
| ჩიკაგო | 21 | 38 | 35,6 |
| ტორონტო | 17 | 37 | 31,5 |
| კლივლენდი | 11 | 46 | 19,3 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 44 | 13 | 77,2 |
| სან ანტონიო | 39 | 17 | 69,6 |
| მინესოტა | 38 | 21 | 64,4 |
| იუტა | 33 | 24 | 57,9 |
| ჰიუსტონი | 30 | 27 | 52,6 |
| მემფისი | 17 | 39 | 30,4 |
| დენვერი | 12 | 46 | 20,7 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 40 | 18 | 69,0 |
| პორტლენდი | 37 | 20 | 64,9 |
| ლეიკერსი | 31 | 25 | 55,4 |
| ფინიქსი | 31 | 27 | 53,4 |
| გოლდენ სტეიტი | 28 | 30 | 48,3 |
| სიეტლი | 25 | 31 | 44,6 |
| კლიპერსი | 19 | 37 | 33,9 |

# მუშა!



*ეს ბიჭი თამაშში 10 ქულასაც ვერ აგდებს, მაგრამ სუპერვარსკვლავია. ბიჭი კი არა ქვაა, გაუვალი კედელია. „დეტროიტ პისტონზის" 206-სანტიმეტრიანმა ცენტრმა ბენ ვოლესმა თავი დაცვაში საიმედო თამაშით და თავდაუზოგავი შრომით გაითქვა. ის თანამედროვე „დეტროიდის" დედაბოძია და ამ შეზღუდული შესაძლებლობების გუნდის წარმატების გარანტიაა*

ვოლესს ხშირად ადარებენ დენის როდმანს, როდმანი ხომ კარიერას სწორედ „დეტროიტში" იწყებდა. ვოლერი როდმანივით დაბალია ამპლუის კვალობაზე და მასავით დიდებულად ხსნის აცილებულ ბურთებს. წინა სეზონის საუკეთესო მომხსნელს არც ახლა ჯობნის ვინმე (მატჩში საშუალოდ 14,6 მოხსნა). როდმანის არ იყოს, არც ვოლესი ესწრაფვის ქულების მოხვეჭას, ერთი სიტყვით ამ ორ დაბალ მეფარეს შორის ბევრი მსგავსება შეინიშნება. ეგაა, თუ როდმანი ათასნაირი ხერხებით ცდილობდა მუშა კალათბურთელის ფასადის დამალვას და საამისოდ თმის ჭყეტელა საღებავებსა და ქალის ტანსაცმელსაც იყენებდა, ვოლერი უჩუმრად, ყოველგვარი აფიშირების და პრეტენზიების გარეშე აკეთებს თავის საქმეს. მას ფარქეტში მუშაობა და ასხლეტილი ბურთების მოპოვება ლაპარაკზე ეხერხება და ეს ამასწინათ გაზეთ „USA TODAY"-სთვის მიცემულ ბლიც-ინტერვიუშიც შეინიშნება.

**— თქვენ არც განსაკუთრებული სიმაღლე გაქვთ და არც სხვა ფიზიკური მონაცემები, მაგრამ ბუნებისგან ბევრად უხვად დაჯილდოებულებს სჯობნით, როგორ ახერხებთ ამას?**

— მე არა ვარ ნიჭიერი კალათბურთელი, მაგრამ შრომით შეიძლება ამის დამალვა. თუ კაცი მოედანს გარეთ მძიმედ შრომობს, შეიძლება მოედანზე მოხვდეს. თუ მოედანზეც იშრომებს, შეიძლება შეამჩნიონ. მე ჩემმა შრომამ ნბა-ში მომიყვანა. აქაც ყველა ჩემმა გუნდმა თავიდანვე გააცნობიერა, რა ტიპის მოთამაშე ვიყავი. ყველაზე მეტად „დეტროიტს" გამოვადექი. ახლა ბევრი გუნდი ეძებს ჩემნაირ მოთამაშეებს. ადრე ასეთებს ნბა-ში თამაშის შანსი არ ეძლეოდათ.

**— გაგვიმხილეთ თქვენი რეცეპტი, როგორ უნდა გახდეს კაცი კარგი მომხსნელი?**

— ეს ძალიან „იოლია", უნდა იშრომო რაც შეიძლება მეტი. ბევრი მარწმუნებდა, რომ მე ვერ შევძლებდი ნბა-ში დამკვიდრებას ჩემი მცირე სიმაღლის გამო. მე არ ვიყავი ძალიან დიდი, ძალიან მაღალი, ან ძალიან ლონიერი. მე ამ ხალხისთვის ჩემის დამტკიცება მინდოდა, ეს იყო ჩემი მოტივაცია. ყოველთვის, როცა ვინმე მეუბნება, რომ მე რამეს ვერ გავაკეთებ, უფრო მეტი ჟინით ვცდილობ ამის გაკეთებას. ამით მე ჩემ თავსაც ვუმტკიცებ რაღაცას.

**— რამდენად მნიშვნელოვანია კარგი ნახტომი მომხსნელისთვის?**

— რამდენიმე ბურთს კარგი ნახტომის წყალობით მოხსნი, რამდენიმეს პოზიციურ ბრძოლაში მოიგებ, მაგრამ აქ მთავარი მაინც მონდომებაა. უამისოთ, უშრომველად ნიჭი მალე გახუნდება.

**— ყველაზე მეტად რომელ მომხსნელთან გიჭირთ ბრძოლა?**

— ასეთი არაერთია. ჩარლზ ოკლი ძალიან გამოცდილია და ყველა ხერხი იცის... ბრაიან გრანტის წინააღმდეგაც ძალიან ძნელია ბრძოლა. კევინ გარნეტს სიმაღლეც აქვს და არც მონდომება აკლია. ისე ყველასთან გიწევს ბრძოლა, ვინც გულით აკეთებს საქმეს.

**— რას ფიქრობთ, როდესაც ბურთი ნასროლია და თქვენ ფარქეტში ელოდებით მას?**

— რაღაც ეგეთს, რომ მე მოვხსნი ყველა აცილებულს და ვცდილობ ამას. თუ ბურთი ჩემგან მოშორებით ვარდება და ვერ ვიჭერ, ვცდილობ შევეხო მაინც მას, და თუ ვერც ვეხები, ვცდილობ მაქსიმალურად მივუახლოვდე ბურთს, რა იცი რა შეიძლება მოხდეს ამ დროს?

# კუერტენმა ოპერაციას იუბილე გადაუხადა

**THE DUBAI OPEN CHAMPIONSHIPS**

ჰარდი. საპრიზო 1 მილიონი $

**მეორე წრე**

**ტომი რობრედო (ესპანეთი) — მარატ საფინი (2, რუსეთი) 7:5, 4:6, 7:6 (7:3); ირჟი ნოვაკი (3, ჩეხეთი) — ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) 6:1, 6:1; სხენგ შალკენი (6, ჰოლანდია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 3:6, 7:6 (7:2), 7:6 (7:5); ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) — იუნეს ელ აინაუი (7, მაროკო) 7:6 (7:3), 7:6 (7:5)**

დღის უმთავრესი მოულოდნელობანი ჭაბუკმა ესპანელებმა — ტომი რობრედომ და ფელისიანო ლოპესმა გააჩერხეს. პირველმა 171-წუთიანი დავლურის შემდეგ ტურნირს მეორე ნომრად განთესილი მარატ საფინი მოაკლო, მეორემ კი — შარშანდელი ფინალისტი, შავხუჭუჭა მაღრიბელი იუნეს ელ აინაუი, ვინაც ამ ჯერზე იქ რანგით მეშვიდე ჩოგანს აქნევდა.

თავადაც დააკვირდებოდით, ზორბა სკვითმუხლიძის აღრესეზონი უიღბლოდ მიუდის. სიდნეის ტურნირი, სადაც ავსტრალიის ღია პირველობისთვის ითელებოდა, მხრის ტრავმის გამო დატოვა, მელბურნული სანოგნეთიდან ოტება კი მესამე წრეშივე მოუხდა, რაკიდა — ჯერაც მხარმოურჩენელს — უეცრად მარჯვენა მაჯაც დაუსივდა.

მას შემდეგ მან ერთი თვე იუქმა და ღიდ კორტს მხოლოდ წინა კვირაში, როტერდამულ ჭერქვეშა ჰარდზე მოუბრუნდა. იქ — ნაღდად უნდა გახსოვდეთ — მას ვეტერანმა რუსმა, ევგენი კაფელნიკოვმა აჯობა.

შერყეული თვითრწმენის უკუპყრობა და ჩვეულად ჩოგნავება საფინმა ვერც დუბაურ მაგარსაფარზე შეძლო. მართალია, პირველ წრეში უსახელო გერმანელ ვასკეს გადაუარა, მაგრამ უეცრად გაჯიქებული რობრედოს წინააღმდეგ ველარაფერი გააწყო.

„ჰო, როგორც წესი მასთან ვაგებ ხოლმე — აღბობდა ნამატჩევს რობრედო, ვისაც საფინთან აქამომდელი ოთხი შეხვედრიდან მხოლოდ პირველში ემარჯვა — მაგრამ საამტურნიროდ კაცურად ვემზადე, ბევრი ვირბინე და ახლა ისეთ ფორმაში ვარ, ჩემგან არაფერი არ უნდა გაგიკვირდეთ."

თავად სკვითი კი პრესკონფერენციაზე არ გამოცხადებულა, მასთან დისტოლრივ მიჭრილი ჟურნალისტებისთვის კი უთქვამს, რომ რობრედოსთან ბოლომდე დაიხარჯა და, თუ იმლია, ეგ — მხოლოდ ესპანელის უფრო პრაქტიკული ბურთაობის გამო.

სხვაგვრივ — ბრგე ჰოლანდიელმა სხენგ შალკენმა ასევე მძიმე და თითქმის სამსაათიანი ბრძოლის შედეგად აოტა შარშანდელი ჩემპიონი ფაბრის სანტორო. ყველაზე იოლი მატჩი იმ დღეს ჩეხ ნოვაკს გადახდა, ვინაც რუს სტოლიაროვს სულ რაღაც 44 წუთში მოუღო ბოლო.

**ABIERTO MEXICANO DE TENNIS TELEFONICA MOVISTAR**

აკაპულკო. თიხა

საპრიზო 690 ათასი $

**მეორე წრე**

**კარლოს მოია (1, ესპანეთი) — რიკარდო მელუ (ბრაზილია) 4:6, 6:3, 6:2; მარიანო საბალეტა (არგენტინა) — დავიდ ნალბანდიანი (2, არგენტინა) 6:7 (5:7), 6:0, 6:0; აგუსტინ კალერი (არგენტინა) — გასტონ გაუდიო (3, არგენტინა) 7:6 (7:5), 7:6 (7:5); ფერნანდო გონსალესი (4, ჩილე) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:3, 4:6, 7:6 (7:5); გუსტავო კუერტენი (6, ბრაზილია) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 5:7, 6:1, 6:1; ივან მირანდა (პერუ) — ლუის ორნა (პერუ) 2:6, 6:3, 6:2; ფელიქს მანტია (ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:3, 6:4**

ტურნირის ორივე მთავარფავორიტს — შარშანდელ ჩემპიონ კარლოს მოიასა (1) და სამგზის მეროლანგაროსე გუსტავო კუერტენს (6) წაგებულ სეტთა შემდეგ ორ-ორის უკუგება დასჭირდათ. მოიას უსახელო ბრაზილიელი მელუ ეჭიდავა, კუერტენს კი — პერსპექტიული ესპანელი ფერერი.

ცხადია, გამოტანჯული, ნაოფლარი გამარჯვება ორივეს მაგრად ეამა, მაგრამ გუგას სასიხარულოდ სხვა საფუძველიც ჰქონდა — იმ დღეს ზუსტად ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მან ბარძაყის ოპერაცია გადაიტანა.

მომდევნო შეხვედრას 26 წლის მოია მასზე ორი წლით უფროს თვისტომთან, ფელიქს მანტიასთან გამართავს. აქამდე ისინი ერთმანეთს 11-ჯერ დაპირისპირებიან და 9-გზის მეტიტულე ფელიქსს 12-გზის მეტიტულე კარლოსი უკვე 7:4 უგებს.

ამასობაში: ტურნირს გამოეთიშენ განთესილი არგენტინელები — ნალბანდიანი (2) და გაუდიო (3), რომლებიც არგენტინელებმავე — საბალეტამა და კალერიმ იმსხვერპლეს. საბალეტა წლეულს უკვე მესამე მეოთხედფინალში გავიდა და იქ უსახელო პერუელ მირანდას უნდა ერკინოს. ეს მირანდა — ეგებ ამანაც დაგაინტერესოთ — აკაპულკოში ჩასვლამდე ერთ სა-ეიტიპინო გამარჯვებასაც ვერ მოიძევდა.

**ლევან ძელაურაძე**

**COPENHAGEN OPEN**

ჰარდი. საპრიზო 355 ათასი $

**პირველი წრე**

**უეინ ართურსი (2, ავსტრალია) — ოლივიე მუტი (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 6:2; მაგნუს ნორმანი (შვედეთი) — რაემონ სლოიტერი (8, ჰოლანდია) 7:6 (7:4), 7:5; ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) — ბრაიან ვაალი (აშშ) 6:4, 6:4; კრისტიან პლესი (დანია) — სისილ მამიტი (აშშ) 6:2, 6:0; კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:4, 6:3**

**მეორე წრე**

**ოლივიე როხუსი (ბელგია) — ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) 6:1, 6:2**

**STATE FARM WOMEN'S TENNIS CLASSIC**

სკოტსდეილი. ჰარდი

საპრიზო 585 ათასი $

**პირველი წრე**

**ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) — ლიზა რეიმონდი (აშშ) 6:2, 7:6 (7:5); მეგენ შონესი (აშშ) — დაია ბედანოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:3; ლაურა გრენვილი (აშშ) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 7:6 (8:6), 6:1; ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) — მარისა ირვინი (აშშ) 7:5, 6:1; კარა ბლეკი (ზიმბაბვე) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:0, 7:6 (7:5); სილვია ფარინა ელია (იტალია) — ჯანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 7:5, 3:6, 6:4; აი სუგიამა (იაპონია) — ევგენია კულიკოვსკაია (რუსეთი) 6:3, 6:1; იონ-ძონ ჩო (სამხრეთ კორეა) — ანტონელა სერა-ძანეტი (იტალია) 6:2, 6:4**



ტომი რობრედო



მარატ საფინი

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

მომავალი წლის 13-29 აგვისტოს საბერძნეთის დედაქალაქი ათენი უმასპინძლებს ზაფხულის XXVIII ოლიმპიურ თამაშებს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ჟურნალისტის პიროვნების მითითებით, ოლიმპიურ თამაშებზე აკრედიტაციის მისაღებად 15 აპრილამდე უნდა მიმართონ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს (ალმაშენებლის გამზირი №65; სეოკ-ის პრეს-ცენტრი. ტელ: 94-30-91).

აკრედიტაციათა რაოდენობა ლიმიტირებულია. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ხელმძღვანელობასთან კონსულტაციების შემდეგ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს სეოკ-ის აღმასკომი.

გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იქნება მიღებული დაინტერესებული საინფორმაციო საშუალებების (გაზეთი, ჟურნალი, ტელეარხი) მიერ ოლიმპიური თემატიკის გაშუქების სისტემატიურობა და პროფესიული დონე, რეკომენდებული პიროვნების სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო და საქართველოს ასოციაციების წევრობა და სხვ.

ჟურნალისტის ათენში მივლინების ყველა ხარჯი (მგზავრობა, ცხოვრება, კვება და სხვ) უნდა გაიღოს თავად ჟურნალისტმა ან მიმავლინებელმა ორგანიზაციამ.

*საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეს-სამსახური*





ჯონ რუისი (მარცხნივ) და როი ჯონსი მატჩამდელ პრესკონფერენციაზეც შუბლით შეასკდნენ ერთმანეთს

REUTERS

# არამძიმე როი ჯონსი მძიმე ჩემპიონობას აპირებს



## დონ კინგს თმები ყალყზე დაუდგა

**შაბათს** ლას ვეგასში საინტერესო და საჩემპიონო ჩხუბია: ასოციაციის (ვბა) მძიმე წონის ჩემპიონი ჯონ რუისი თავის ქამარს დაიცავს ღიადი როი ჯონსის ხელყოფისგან, რომელიც სულაც არ არის მძიმეწონოსანი, მაგრამ მთელი ცხოვრება კი ოცნებობდა, რომ მძიმე წონის საჩემპიონო ჩხუბზე გასულიყო.

ჯონსმა სულ გირვანქა-გირვანქა დაიარა საშუალო წონის დივიზიონები და ქვა ქვაზე არ დატოვა. ერთი მარცხი აქვს და ისიც იმიტომ, რომ წაქცეულს მიაყოლა მუშტები და წაგება ჩაუთვალეს.

როი მძიმე წონაში კი გამოჩნდა, მაგრამ ბარე ორმოცი გირვანქით ნაკლებია ჩემპიონ რუისზე და საფრთხილო ჩხუბი ელის. მოკრივედ ის ბევრად მაგარია, ოღონდ კი მძიმეწონოსნის მუშტი მაინც სხვა არის. ამიტომ ჯონსი რისკავს, თუმცა ის მოწყენილობით სავსე კაცია, რადგან ღირსეული მეტოქე ტოლ წონებში ეგრეც ვერ უპოვნეს და რისკი ულირს.

თუ გარისკვაა, რუისი მეტს რისკავს: ჩემპიონის ქამარს, რეპუტაციას და, რაც მთავარია, ფულს, იმიტომ, რომ ის ამ ბრძოლაში ჰონორარს არ იღებს. 2,5 მილიონ დოლარს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაუხდიან, თუ „ეიჩბიოუს" ტელეარხი სარფიანად გაყიდის ინდივიდუალურ ტელებილეთებს, რაც, ბოლო კვირის ამბებიდან გამომდინარე, ძნელი დასაჯერებელია. როი ჯონსს მოჭრით გადაუხადეს ამ ბრძოლაში 10 მილიონი დოლარი და ის საჩემპიონო ჩხუბის რეკლამირებაზე საერთოდ არ ზრუნავს. მას დიდი სახელი აქვს ამერიკაში, რუისი კი, თუმცა ჰოლიფილდს სძლია და მძიმე წონის პირველი პუერტორიკოელი ჩემპიონია, თავისი პოპულარობით როისთან ვერ მივა.

ამიტომ პრომოუციის მთელ სიმძიმეს ჯონსის მხრებზე უნდა გადაევლო, მან კი, რახან ჰონორარი დაიბევა, თითიც არ გაატოკა.

თანაც რუის — ჯონსი წინა შაბათის ტაისონ — ეტიენის ჩრდილქვეშ მოექცა. 19 ათას კაციან დარბაზში მხოლოდ 6 ათასი ბილეთია გაყიდული. 50-დოლარიანი ტელებილეთი ნახევარმა მილიონმა კაცმა მაინც უნდა იყიდოს, რათა რუისმა თავისი ფული მიიღოს. ის პირველად მონაწილეობს სატელებილეთო მატჩში.

„როის დათრევა დიდი რამეა — თქვა „ეიჩბიოუს" ტელებილეთების ბოსმა მარკ ტაფეტმა — მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, მას თავისი ბრძოლის რეკლამირებაზე ეზრუნა".

ორთაბრძოლის გამჩარხავი დონ კინგიც კი ფარხმალდაყრილი აღმოჩნდა ჯონსის უმოქმედობის გამო: „მოდი და ელაპარაკე ცარიელ სკამს. დევიდ კოპერფილდს უნდა ვთხოვო, რომ ეგ ბიჭი როგორმე გაგვიჩინოს".

ჯონსმა დაალალატა მედია და სახალხო ვარჯიშიც არ გამართა. მას მიაჩნია, რომ: „ხალხს სურს, ნაცემი და სისხლიანი მნახოს. ხალხი ამას-ელოდება". ამიტომ, პრომოუციაც ფეხებზე ჰკიდია.

ტოტალიზატორები ფავორიტად მაინც მას თვლიან, 9-5-ზე.

დასანანი კი არის, რომ ამ მართლაც საინტერესო კრივს ისეთი ბითურობა ჩრდილავს, გასულ შაბათს რომ გათამაშდა მემფისის „პირამიდში".

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

# ქართველები დაჭრილი დათვის ბუნაგში შედიან



რუსთა თავკაცი ალექსანდრ პერვუხინი ქართველების მოლოდინშია

**რუსეთის ნაკრების** მწვრთნელმა ალექსანდრ პერვუხინმა ის 24-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, 8 მარტს საქართველოსთან სათამაშოდ რომ ამზადებს. რუსულ-ქართული ჯახი კრასნოდარში გაიმართება და, წინასწარი ინფორმაციით, შუადღის ორ საათზე დაიწყება.

რუსების გაფართოებულ რაზმში, ცხადია, აღარ არიან ტომით სამხრეთაფრიკელები — იოჰან ჰენდრიქსი, რენე ფოლხენკი და ვერნერ პიტერსი. ამ სამეულმა და მათმა აგენტმა ვერაფრით დაამტკიცეს, რომ ბებია-ბაბუები რუსები ჰყავდათ და ამიტომაც რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) რუსები მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიდან მოჰკვეთა.

პერვუხინმა უარი თქვა ფრანგული „გრენობლის" მორკინალ მურატ უამბაევზე. გარუსებული ყაზახი ახლა ფორმაში ვერაა, რაკი ორი თვე მტკივან მუხლს მკურნალობდა. სამაგიეროდ, გუნდში არიან „მონტობანის" და რუსეთის ნაკრების ლიდერები ვიაჩესლავ გრაჩოვი, სერგეი სერგეევი და კონსტანტინ რაჩკოვი.

რუსეთის ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა უკვე კრასნოდარშია, ოღონდ [illegible] რებოდ. მონტობანელები დანარჩენებს [illegible] საფრანგეთის ჩემპიონატის ტურის შე[illegible] შეუერთდებიან.

რუსეთის ნაკრების 24-კაციანი შემადგენლობა ასეთია:

*ალექსანდრ ხროკინი, ალექსეი ტრავკინი, ვლადისლავ კორშუნოვი, ვიქტორ მოტორინი, ალექსეი სერგეევი, ანდრეი კუზინი, იგორ კლიუჩნიკოვი (ყველა ვვა-პოდმოსკოვიე), რომან როშაკი, რომან შელეპკოვი, ვიაჩესლავ ზიკოვი, ალექსეი რეჩნევი, ალექსეი კორობეინიკოვი, ვიტალი ზეერი, იგორ დიმჩენკო (ენისეი-სიბტრაუმში), იგორ ნიკოლაიჩუკი, ოლეგ შუკაილოვი, ვალერი ფედჩენკო, სერგეი ვასილიევი, ალექსეი სარიჩევი, ვიტალი ილარიონოვი (კრასნი იარი), ვიაჩესლავ გრაჩოვი, სერგეი სერგეევი, კონსტანტინ რაჩკოვი (მონტობანი), ალექსანდრ იანიუშკინი (პენზა), ოლეგ ჟუკოვი (ფილი)*

# 8 მარტს ფრანგებსაც ვუქომაგებთ

## დიმიტრი იაშვილი ირლანდიასთან ითამაშებს

**ექვსი ერის** მეორე ტურში, შოტლანდიასთან 38:3 მოგებულ მატჩში, საფრანგეთის ნაკრების მე-9 ნომერი და კაპიტანი ფაბიენ გალტიე დაშავდა და იგი სამი კვირით დააკლდება თავისიანებს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ 8 მარტს დუბლინში გასამართ ირლანდია — საფრანგეთის მატჩში საქართველოს ნაკრების მორკინალ გრეგუარ იაშვილის უმცროსი ძმა, დიმიტრი ფრანგთა ძირითად შემადგენლობაში იქნება.

„დიმიტრის შანსი ეძლევა, თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინოს და გალტიეს არყოფნაში გუნდის ლიდერად მოგვევლინოს. მთავარია, იგი ფსიქოლოგიურად განეწყოს, თორემ მის ოსტატობაში ეჭვი არ მეპარება" — თქვა ბერნარ ლაპორტმა, როცა საირლანდიო 22-კაციანი შემადგენლობა გამოაცხადა.

21 წლის დიმიტრი იაშვილი „ბიარიცის" ლიდერი და ერთ-ერთი მეჭულეა. „ბიარიცი" რომ საფრანგეთის ჩემპიონატს ლიდერობს, ამაში უმცროს იაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის. დიმიტრი შოტლანდიასთან შეხვედრაში ტრავმირებული გალტიეს ნაცვლად შევიდა და განივი, გრძელი პასით ორელინ რუჟერს ლელო გაატანინა.

ირლანდიასთან ნახევარდაცვაში იაშვილის მეწყვილე იქნება „აჟანის" გამთამაშებელი ფრანკო გელესი, რომელმაც შოტლანდიასთან მალიან კარგად ითამაშა და მანამდე „მამლებს" უპირველესი მე-10 ნომერი ჟერალ მერსერონი ალბათ კარგა ხნით დასვა სათადარიგოთა სკამზე.

იაშვილის ძირითად შემადგენლობაში დაწინაურებით იხეირა „აჟანის" შერკინების გამთამაშებელმა მეტიუ ბერუმ, რომელიც ლაპორტმა დიმიტრის მარქაფში გამოიძახა.

გალტიეს არყოფნაში, ირლანდიასთან „მამლებს" 29 წლის ფაბიენ პელუ უკაპიტნებს. „ტულუზის" მორკინალს ნაკრებში 74 მატჩი უთამაშია და 6 ლელო გაუტანია. „კაპიტნად პელუ იმიტომ ავირჩიე, რომ ის სულით ლიდერია, ბოლომდე იბრძვის და შეუძლია, სხვაც აიყოლიოს. პელუ ძველ კაპიტან რაფაელ იბანესს და ვეტერან კალიფანოს ვამჯობინე" — თქვა ლაპორტმა. საირლანდიო საფრანგეთის ნაკრები ასე გამოიყურება:

***მორკინალები:*** *სილვიან მარკონე, დავიდ არადუ (ორივე სტად ფრანსე), ჟან-ჟაკ კრენკა, ჟან-ბატის რუ (აჟანი), კრისტიან კალიფანო (სარასენსი), რაფაელ იბანესი (კასტრი), ფაბიენ პელუ (ტულუზი), ოლივიე ბრუზე, ოლივიე მანე (მონფერანი), სერჟ ბესენი (ბიარიცი), სებასტიან შაბალი (ბურგუენი), იმანოლ ჰარინორდოკი (პო)*

***უკანა ხაზი:*** *დიმიტრი იაშვილი (ბიარიცი), მეტიუ ბერუ, ფრანკო გელესი (აჟანი), ჟერალ მერსერონი, ორელინ რუჟერი (მონფერანი), დემიენ ტრაილე (პო), ტომას კასტანედი (სარასენსი), კლემე პოიტრინო, ქსავიე გარბაჟოზა, ვინსენ კლერკი (ტულუზი)*



დიმიტრი იაშვილი






REUTERS ვაშინგტონიდან

ბუფალოელმა ერიკ ბულტონმა ვაშინგტონელ ერიკ ჰენრის შემოჰკრა

**რეგულარული ჩემპიონატი**

# ბუფალოს ცოდვამ უწია

## ბულტონ-ბულტერიერი პატარას მოერია

— 26 თებერვალი —

**ვაშინგტონი 3:2 ბუფალო** *2:0 1:0 0:2*

**1:0 იაგრი (5), 2:0 უიტი (15), 3:0 ბონდრა (35), 3:1 ბრაუნი (43), 3:2 კალინინი (55)**

ვაშინგტონმა მშვიდად გააკონტროლა სიტუაცია და ერთიმეორეზე ლამაზი სამი გოლი გაიტანა. ბუფალოს კი მხოლოდ ჩხუბი უტრიალებდა თავში. ამ მხრივ განსაკუთრებით ერიკ ბულტონმა გამოიჩინა თავი. ალექს ჰენრისთან ორთაბრძოლა მან მინიმალური უპირატესობით მოიგო, აი, ახალბედა ბრაიან საზერბი კი ხელებში შემოეფცქვნა — ყმაწვილ საზერბის ცხვირიდან სისხლი წასკდა, თავად ჩხუბისთავს კი მხოლოდ სახე გაეკაწრა.

ბუფალოსდა სამწუხაროდ, ჩხუბში მოგებამ ანგარიშზე ვერ მოახდინა გავლენა. ყველაფერი პირველ ორ მეოთხედში გადაწყდა. მერე მასპინძლებმა ყურადღება მოადუნეს და აუტსაიდერმა ბუფალომაც გაიხსენა, რომ შეტევაც შეუძლია, როცა თავად მას არ უტევენ. ბოლოს საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მეკარე ოლაფ კოლციგის თავგანწირვამ იხსნა ვაშინგტონი ფეხ[illegible]რტაიმისგან.

**ფლორიდა 1:2 ანაჰაიმი** *0:1 0:0 1:1*

**0:1 კარია (3), 1:1 კოზლოვი (50), 1:2 სიკორა (53)**

**ფინიქსი 4:2 კაროლინა** *0:0 1:0 3:2*

**1:0 ნადი (34), 2:0 მარა (45), 3:0 ბრირი (49), 4:0 მაი (56), 4:1 კურკა (57), 4:2 ზიგომნისი (59)**



# შუმახერმა მეტოქეები უკვე გააფუჭა

## ახალი ფერარი სჯობს იმ ძველს, რომელმაც შარშან ყველას ჩაუქროლა

FIA FORMULA 1

**კარსმომღვარი** მსოფლიოს 54-ე ჩემპიონატის წინ მეფორმულეებმა გუშინ ბოლო სამდღიანი სატესტო სერია ჩაამთავრეს.

ხუთგზის ტრიუმფატორი მიხაელ შუმახერი და მისი მეწყვილე რუბენს ბარიკელო ერთდროულად „ფერარის" ორ მოდელს ცდიდნენ, რადგან სეზონს შარშანდელივით წინა წლის ბოლიდით დაიწყებენ, უახლეს „F2003GA"-ზე კი აპრილში, მეოთხე-მეხუთე ეტაპისას გადასხდებიან. „წითლების" წლევანდელი მუსტანგი წინამორბედზე ბევრად ჩქაროსნული კია, მაგრამ, ბუნებრივია, ჯერჯერობით საიმედოობა აკლია და სკუდერიელთა სიფრთხილეც ამან გამოიწვია. თითქოს წარმოუდგენელი იყო შარშანდელ ფანტასტიკურ ბედაურზე უფრო სწრაფის, უკეთესის შექმნა, მაგრამ იანვარ-თებერვლის ვარჯიშებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მიხაელმა სამჯერ გააუმჯობესა ფიორანოში „ფერარის" საკუთარი ტრეკის რეკორდი, მერე კი მეორე იტალიური, იმოლას წრის თავისივე შარშანდელი მიღწევაც დაამხო.

შუმიმ დასკვნითი სამდღიური ესპანეთში, ხერესის ავტოდრომზე ჯირითში გაატარა უილიამსელ და მაკლარენელ კოლეგებთან ერთად. სესია არაერთხელ შეწყდა თავსხმის გამო, ავარიებიც ბლომად იყო და რა გასაკვირია, თუ მრბოლებმა სარეკორდო შედეგზე შვიდი-რვა წამით უარესი დრო აჩვენეს. გერმანელმა „წითელმა ბარონმა" ორივე მანქანა გამოსცადა — წლევანდელმა „იყოჩაღა" და 2002-ისას წამზე მეტი მოუგო. მაკლარენელები — დევიდ კულჰარდი და კიმი რაიკონენი, აგრეთვე ხუან პაბლო მონტოია („უილიამსი") ჩემპიონს გვარიანად ჩამორჩნენ.

აღსანიშნავია, რომ „მაკლარენმა" სეზონთშორისი სატესტო სამი თვე შარშანდელი ბოლიდით ჩაატარა, რადგან „მერსედესის" გულიანი ახალი MP4-18 ჯერ მზად არაა და „ვერცხლისფერი ისრებიც" სეზონს ძველი მანქანებით შეხვდებიან, სიახლის პრეზენტაციას კი აპრილის პირველ რიცხვებში გეგმავენ.

წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილე ათი გუნდიდან ყველაზე ადრე პირველი სტარტის ადგილს, მელბურნის „ალბერტ პარკს", იტალიურმა „მინარდიმ" მიაშურა. ამ აჩქარების მიზეზი ისაა, რომ „პატარა სკუდერია" ახალი ბოლიდის წარდგენას თავისი ავსტრალიელი ბოსის სამშობლოში მოაწყობს 5 მარტს, პირველი ეტაპის პირველი ოფიციალური ვარჯიშის წინა დღეს.

**გია ახალაძე**




REUTERS ხერესიდან

მიხაელ შუმახერი ავსტრალიაში, ცხადია, ფავორიტად მიდის



# შქაროზანი



REUTERS

ინდოეთის ოკეანის სამხრეთში, კერგულენის კუნძულებიდან ასიოდ მილის მოშორებით უქარობაში ლივლივებს „კინგფიშერმა", რომლის განთქმულ დედა-კაპიტანს, ელენ მაკარტურსაც (სურათზე) მოწყენილობა დასტყობია. უქარობა ნავის მტერია, მაკარტურს ხომ გადაუწყვეტია, რომ გარსაქვეყნო ნაოსნობის მსოფლიო რეკორდი დაამყაროს. უქარობაა ჰაურაკის ყურეშიც, სადაც „თიმ ნიუ ზილანდის" და „ალინგის" ნავები ერთმანეთს ებრძვიან ამერიკის თასისთვის. სამი შეყრიდან სამივე „ალინგიმ" მოიგო. მორიგი გაცურვა კი უქარობის გამო გადაიდო. რაც შეეხება კოხტა მადლვარს, ის „თიმ ნიუ ზილანდის" სამოსშია გამოწყობილი.



REUTERS

# სახეები

სამხრეთ აფრიკაში კრიკეტის მსოფლიო თასი გახურებულა. დურბანში ერთმანეთს ინგლისელები და ინდოელები ებრძვიან. ჰოდა, თქვენ არ გაგიჭირდებათ იმის ამოცნობა, ამ გულშემატკივართა შორის რომელია ინდო და რომელი ანგლი.



REUTERS



REUTERS

# სამხრეთულად

ეს ნამდვილი სამხრეთული ამბავია: „ბოკა ხუნიორსი" ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოს სტუმრობს, იქაურ „კოლო კოლოს" ამარცხებს და მოედნიდან გაღწევას ლამობს. მარსელო დელგადო (მარცხნივ) და მატიას დონეტი პოლიციელთა ფარებით შებურვილნი ტოვებენ მინდორს.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი. თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ანასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქრიაპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნაილა ვიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგუაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge